გაზეთი ხალხის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

ფასი 60 თეთრი

№91 (1117) 18 – 20 სექტემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ ფშავის ხევისბერთან

გვ. 8

გივი პარკუნაშვილი: „მეორედმოსვლა მე-4 წელია დაიწყო... ერთ-ერთი ანტიქრისტე პუტინია"

ნაციონალების მაფია უკვდავია?

გვ. 3

გიგი უგულავა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქალაქო სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა

რა კავშირი აქვს ელისო ჩაფიძის ძმას გორის ავტობანზე მომხდარ ტრაგედიასთან

გვ. 6

მიზეზები, რის გამოც რძის პროდუქტი 20%-ით გაძვირდა

რით იმართლებენ თავს მწარმოებლები

გვ. 7

სკოლებს ნოროვირუსი უტევს

გვ. 9

როგორ დავიცვათ ბავშვები დაავადებისგან

ქართველმა ლეიტენანტმა სენდჰარსთის სამეფო სამხედრო აკადემიის სასწავლო კურსი წარმატებით დაასრულა

ქართველმა სამხედრომ, ლეიტენანტმა ლევან კოდუამ ჯილდოები და სიმბოლური საჩუქრები დაიმსახურა.

სამშობლოში დაბრუნებულ მსოფლიო დონის თავდაცვის აკადემიის წარმატებულ ქართველ კურსანტს თავდაცვის მინისტრმა ევროპაში გამგზავრებამდე უმასპინძლა. თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე ლევან კოდუას მიღწევებს გაეცნენ.

„ლეიტენანტი გამოვყავით იმიტომ, რომ თანაკურსელებთან ერთად, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ, ისწავლა ერთი წლის განმავლობაში და ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა, საუკეთესო შედეგით დაბრუნდა ქვეყანაში. რა თქმა უნდა, უნდა წავახალისოთ ასეთი ახალგაზრდები. უნდა იცოდნენ, რომ როგორც სამოქალაქო უწყება, ასევე გენერალური შტაბი მათ გვერდში იდგება და ყველაფერს გააკეთებს, რომ მათი კარიერა უფრო წარმატებული იყოს. ქართველი ჯარის მომავალი სწორედ ასეთ წარმატებულ ახალგაზრდებზე უნდა იყოს დაფუძნებული“, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

სენდჰარსთის სამეფო სამხედრო აკადემიაში აღნიშნული კურსი 188 მონაწილემ დაამთავრა. ვახტანგ კაპანაძის განმარტებით: **„ეს სასწავლებელი ძალიან პრესტიჟულია, უდიდესი ტრადიციების მქონე და ბევრ სამხედრო მოღვაწეს აქვს დამთავრებული. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლებელში ასეთ დახასიათებას აძლევენ ქართველ სტუდენტს. ეს ოფიცერთა ის ახალი თაობაა, რომელმაც უნდა აიღოს ქართული ჯარის მშენებლობის სადავეები თავის ხელში“.**

ლევან კოდუამ, აკადემიური განათლების მიხედვით, მაქსიმალური ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიმსახურა. ჯილდოსთან ერთად ქართველ სტუდენტს ქუვეითის პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის სახელობის ხმალი გადაეცა. ლევან კოდუამ ოფიცრის კარიერა მე-12 ბატალიონის „ალფა“ ასეულში დაიწყო, რომელიც ნატო-ს ოპერატიული თავსებადობისა და შეფასების პროგრამაშია ჩართული. ბრიტანეთში სასწავლებლად წასვლამდე მონაწილეობდა როგორც ასეულის პირველი დონის შეფასების პროგრამაში, ასევე მრავალეროვნულ სწავლებაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც თავი გამოავლინა როგორც დისციპლინიანმა და ინიციატივიანმა ოფიცერმა. ამჟამად, ლეიტენანტი სამხედრო სამსახურს ორხევში, მე-12 ბატალიონში განაგრძობს.

„პირველი“

საქართველოს პრეზიდენტს შვეიცარიის კონფედერაციის ელჩმა რწმუნებათა სიგელები გადასცა

საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, შვეიცარიის კონფედერაციის ახლადდანიშნულმა ელჩმა ლუკას ბეგლინგერმა რწმუნებათა სიგელები გადასცა.

რწმუნებათა სიგელების გადაცემის შემდეგ, გიორგი მარგველაშვილსა და ლუკას ბეგლინგერს შორის ოფიციალური შეხვედრა გაიმართა. საუბრისას ყურადღება გაამახვილეს საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის სხვადასხვა სფეროში არსებული ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა შვეიცარიის ელჩს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის და წარმატება უსურვა მომავალ საქმიანობაში.

„პირველი“

საქართველოში მასშტაბური დასუფთავების აქციები ჩატარდება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა და შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მარტინა ქვიქმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს თემაზე „გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი დღეები საქართველოში“.

„დავასუფთავოთ მსოფლიო — დავასუფთავოთ საქართველო“ კამპანია, საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, 18, 19, 20 სექტემბერს ტარდება და მთელ ქვეყანას მოიცავს. საქართველო მსოფლიო კამპანიაში 2010 წლიდან აქტიურად ჩაერთო. ის რიგით 121-ე ქვეყანა იყო, რომელიც დაიტანეს მსოფლიო გარემოსდაცვით რუკაზე, როგორც წევრი ქვეყანა. 2015 წლის სექტემბრის მსოფლიო კამპანიის მოწოდებაა: ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლობა...

30 სექტემბრიდან 14 ოქტომბრის ჩათვლით კი, საქართველოში შვედეთის საელჩოს ინიციატივით, ტარდება „გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი დღეები საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მრავალი ღონისძიება, მათ შორის: გამოფენა „კლიმატის ცვლილების პირისპირ“; ასევე გაიმართება შეხვედრები და დისკუსიები სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხთან დაკავშირებით. 3 ოქტომბერს, „გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი დღეების“ ფარგლებში მასშტაბური დასუფთავების აქციები ჩატარდება.

„პირველი“

ფეხბურთის ფედერაციის იურისტები ჟურნალისტებს ემალებიან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურისტმა კესო ჩხიკვაძემ და გენერალური სამდივნოს უფროსმა რევაზ შენგელიამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ ისურვეს. ჩხიკვაძემ ამის მიზეზად ქალაქში არყოფნა დაგვისახელა. მოგვიანებით, მასთან სატელეფონო კომენტარზე მაინც შევთანხმდით, ოღონდ გვთხოვა, რამდენიმე წუთში დაგვერეკა და... მობილური საერთოდ გამორთო. შენგელიამ კი, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რა საკითხზე გვინდოდა საუბარი, გვიპასუხა, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა და ექიმთან გახლდათ. რა კითხვები გვქონდა ფედერაციის ამ ორ თანამშრომელთან? ორიოდ დღის წინ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ უეფაში გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ უეფას უმთავრესი რეკომენდაციაა, სფფ-მ არ დაარღვიოს თავისივე წესდების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც დელეგატების დანიშვნას ეხება. ასევე ისიც, რომ გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს არ გააჩნია უფლებამოსილება, მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რაც მან გააკეთა, ხოლო აღმასკომს ამის თაობაზე რეაგირება არ ჰქონია... რამდენად კანონიერი იყო ეს გადაწყვეტილება და იკვეთება თუ არა ინტერესთა კონფლიქტი? არის თუ არა კანონდარღვევა, როდესაც სფფ არ ითვალისწინებს წესდების მე-7 მუხლს, როცა პრეზიდენტობის კანდიდატ რევაზ არველაძეს დროულად უნდა დაეტოვებინა გენერალური მდივნის თანამდებობა, რაც მას არ გაუკეთებია? რატომ არ მიიღო გუნდების წევრობასთან დაკავშირებით აღმასკომმა გადაწყვეტილება და რატომ გადაიტანა რიგგარეშე ყრილობა დეკემბერში, როცა მაქსიმალური ვადა 30 დღე იყო? თუმცა, როგორც ზემოთ უკვე გითხარით, ორივე იურისტი დაგვემალა.

„პირველი“

100 ქართველი ახალგაზრდა ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომს თბილისში მიიღებს

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს პროგრამების სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიულოცა. მან მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას, რომლის მეორე კომპაქტის ფარგლებში, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმი 2014 წლის ივლისში გაფორმდა.

„ხელმოწერიდან ერთი წლის თავზე, უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება ამერიკული საბაკალავრო პროგრამები ქიმიაში, ინჟინერიასა და ტექნოლოგიებში. განსაკუთრებით მიხარია, რომ წელს ძალიან მნიშვნელოვანი ტენდენცია შეიმჩნევა — საინჟინრო და ტექნიკური სპეციალობები განსაკუთრებით პოპულარული ხდება ჩვენს ახალგაზრდებში. ეს არის სპეციალობები, რომლებშიც ჩვენ, ქართველებს, განსაკუთრებული ნიჭი გვაქვს თუ ბოლო წლების ტენდენციას გადავხედავთ, ვფიქრობ, ეს ძალიან დამაიმედებელია, რადგან გასულ წლებში მხოლოდ იურისტობას აპირებდნენ ჩვენი ახალგაზრდები და მეტი პერსპექტივა არ იყო. დღეს კი ვითარება შეიცვალა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

სამართალმცოდნეობა, ბიზნესი, ეკონომიკა ის სპეციალობებია, რომლებსაც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სამ წამყვან სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ქართველ სტუდენტებს სთავაზობს. მთავრობის მეთაური მოხარულია, რომ საუკეთესო ქულების მქონე სტუდენტებმა ძირითადად ეს მიმართულებები აირჩიეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე ისაუბრა მისი ინიციატივით დაარსებული განათლების საერთაშორისო ცენტრის წარმატებული საქმიანობის შესახებ, რომელმაც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად უკვე 200-ზე მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა დააფინანსა: **„მთავარი პირობა, რაც მე დავაყენე, იყო ის, რომ საჭიროა სახელმწიფოს მიერ ინვესტირებული თანხის გონივრულად გამოყენება. ეს გულისხმობს, რომ სტუდენტები, რომლებიც ამ პროგრამით მიიღებენ განათლებას, ვალდებულნი იქნებიან, დაბრუნდნენ საქართველოში. მაქსიმალურად უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს კაპიტალს, ჩვენს გამორჩეულ ახალგაზრდებს“.**

„პირველი“

შსს-მ 187 აბი „ექსტაზი“ და კოკაინი ამოიღო



შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბათუმში მცხოვრები, 1987 წელს დაბადებული ნათია შ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 187 აბი „ექსტაზი“ და 0,04218 გრ კოკაინი ამოიღეს. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, 166 აბი 7,2303 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს, ხოლო 21 აბი 0,10489 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება ამფეტამინს და 0,0524 გრ მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს შეიცავს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით, 262-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ნაციონალების მაფია უკვდავია?

გიგი უგულავას გათავისუფლების საკითხი რამდენიმე დღეა უწყვეტ რეჟიმში განიხილება. რეალურად, ეს ორპარტიული კინკლაობა, რატომღაც, საერთო-სახალხო ტრაგედიად იქცა და ხან ერთი და ხან მეორე დაინტერესებული მხარე აქციას აქციაზე მართავს საკონსტიტუციო სასამართლოსთან, მისი თავმჯდომარის სახლთან, სასჯელაღსრულების სამინისტროსთან... პარალელურად, აბსოლუტურად ყველა — მინისტრი თუ დეპუტატი, იურისტი, ნაციონალი თუ „ოცნების“ აქტივისტი, უბრალო გამვლელი თუ აქციის მონაწილე ამ საკითხზე საუბრობს და კომპეტენტური სახით, ხშირად არაკომპეტენტურ კომენტარს აკეთებს. ეს ისტერიკა უნდა დასრულდეს, რადგან აქ საქმე პრაგმატულ პოლიტიკურ გათვლებთან გვაქვს და არა „სამართლიანობის აღდგენას“ ან „პოლიტპატიმრების უფლებებისთვის“ ბრძოლასთან!

გაცილებით საინტერესო ისაა, ვის აწყობს სრულიად ერი უგულავაზე ალაპარაკოს და ეს თემა სათავისოდ გამოიყენოს, ექსმერის როგორც გათავისუფლების, ისე მისი პატიმრობაში დატოვების, ან ხელახლა დაპატიმრების შემთხვევაში. ეს წაუგებელი თამაში ნაციონალური მოძრაობის დაწყებული რომაა, დიდი მარჩიელობა არ სჭირდება. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ უგულავა ციხიდან გამოვა — ნაციონალები მისგან გმირს შექმნიან, კვლავ აქცევენ ფიგურად, ისაუბრებენ მის მიერ ციხეში უკანონოდ გატარებულ 9 თვეზე და ა.შ. თუმცა ეს მათთვის ნაკლებად მომგებიანია, რადგან უგულავა დიდი რეიტინგით არც თავის დროზე გამოირჩეოდა და „უგულავას ფაქტორის“ შექმნა ქართულ პოლიტიკაში დღესაც უტოპიაა. ივლის ყოფილი მერი სასამართლოებზე, ისაუბრებს „იმ 9 თვეზე“ და სულ ესაა. აი, მისი გუნდი კი გაცილებით იხეირებს, თუ უგულავას ციხეში დატოვებენ. თუკი ახლა მოახერხეს და მთელი ქვეყნის ყურადღება რამდენიმე საათში მიიპყრეს, კიდევ რამდენიმე საათში მთელი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებასაც მიიპყრობენ — კიდევ ერთხელ, მსოფლიოს წინაშე დასვამენ საკითხს, რომ „ოცნების“ ხელისუფლებას პოლიტპატიმრები ჰყავს. ესაა სწორედ ნაციონალური მოძრაობის მიზანი და ამ თამაშში, როგორც ჩანს, „ოცნებაც“ ჩაითრიეს, რადგან სრულიად გაუგებარია, ხელისუფლება ასე რატომ უფრთხის უგულავას ციხიდან გამოშვებას მანამ, სანამ პროკურატურა ყოფილი მერის წინააღმდეგ რეალურ ხელჩასაჭიდს არ იპოვის.

ყველაფერი კონსტიტუციური სარჩელით დაიწყო. გიგი უგულავას არაკონსტიტუციურად მიაჩნდა ფაქტი, რომ შესაძლოა, რამდენიმე ბრალდებაზე შეფარდებული წინასწარი პატიმრობის ვადებს, ჯამში, კონსტიტუციით განსაზღვრული 9 თვისთვის გადაეჭარბებინა. საკონსტიტუციო სასამართლომ, რომლის შემადგენლობაზე უკვე ბევრი ითქვა, უგულავას სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მთელი ეს აჟიოტაჟი კი იმან გამოიწვია, რომ გადაწყვეტილებას ხელი ერთ-ერთმა მოსამართლემ, მერაბ ტურავამ არ მოაწერა. არასწორია ინსინუაციები იმის შესახებ, რომ ყოფილი მერისთვის ციხის კარი სასჯელაღსრულების მინისტრს ფართოდ უნდა გამოეღო და საკონსტიტუციო სასამართლოს ხელის დაქნევისთანავე გაეშვა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლით, რომელიც აღკვეთის ღონისძიების შეცვლას ან გაუქმებას ეხება, სასამართლოს 72 საათი აქვს სამსჯელოდ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. რაც შეეხება დავას, უნდა მოეწერა თუ არა ხელი გადაწყვეტილებაზე პლენუმის ყველა მოსამართლეს, ანუ მათ შორის ტურავასაც? ორგანულ კანონში „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ (მუხლი 43.2) წერია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე ყველა წევრი. მიუხედავად იმისა, რომ დავით უსუფაშვილის თქმის არ იყოს, მოსამართლე ტურავას მიერ მოყვანილი მიზეზები არადამაჯერებელი და არათანმიმდევრული იყო, მის უფლებას, გაეცნოს გადაწყვეტილებას და მას ხელი მოაწეროს, კანონი იცავს. თანაც, უმჯობესი იქნებოდა, ჯერ პლენუმის ყველა წევრს დაეფიქსირებინა საკუთარი ხელმოწერა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და მხოლოდ ამის მერე დაანონსებულიყო მისი გამოცხადების დრო. როგორც მერაბ ტურავამ განაცხადა, იგი საკონსტიტუციო სასამართლომ დროში შეზღუდა: **„დღეს ჩემთან მოსამართლეები მოვიდნენ, მათ შორის, თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი და სურდათ, ხელი მომეწერა, მაგრამ გარკვევით ავუხსენი, რომ არც ერთი მოსამართლე არ აწერს ხელს გადაწყვეტილებას, სანამ მას კარგად არ წაიკითხავს. ვფიქრობ, ზეწოლაა, როცა მოსამართლე არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად და მისგან ხელმოწერას ითხოვენ. მე უმცირესობაში ვარ და განსხვავებულ აზრს პატივი უნდა სცენ“.** სხვათა შორის, მიმდინარე პროცესებს სოციალური ქსელითა და სხვადასხვა მედიასაშუალებით აქტიურად ეხმაურება იურისტი **ლევან ალაფიშვილიც** და უმცირესობაში მყოფ მოსამართლეს კანონიერ გზასა და შესანიშნავ გამოსავალს კარნახობს: **„მოსამართლეობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ ეს არ არის იძულება. მას კანონით ეკისრება ვალდებულება, მიიღოს გადაწყვეტილება და გამოხატოს საკუთარი პოზიცია — დადებითი თუ უარყოფითი, ეს შემდგომ შეიძლება გახდეს მსჯელობის საგანი. აქვე, თუკი მოსამართლე უმცირესობაშია ან არ ეთანხმება მისი რომელიმე კოლეგის მოსაზრებას, მას კანონით აქვს გარანტირებული, საკუთარი განსხვავებული პოზიცია წერილობით ჩამოაყალიბოს, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებას უნდა დაერთოს. სწორედ ამ ვალდებულების შესრულებისთვის ვუხდით ჩვენ, გადასახადის გადამხდელები მოსამართლეებს ფულს. პრეცედენტი, რასაც ახლა თვალს ვადევნებთ, საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიაში არ ყოფილა“.**

თუმცა აქ არც სასამართლოს შემადგენლობაა მთავარი, არც ის, რა დრო ითხოვა ტურავამ არცთუ სქელტანიანი დოკუმენტის გადასაკითხად — მთავარია, რამ გაალომგულა ასე საკონსტიტუციო სასამართლო, თავის თავმჯდომარიანად, რომ ტურავას არ დაზარდნენ და სარჩელი საავადმყოფოში აახლეს. ძალიან კარგია, თუ სიმართლისთვის ბრძოლაში გიორგი პაპუაშვილი ბარიერებს არ უშინდება, მაგრამ სად იყვნენ სიმართლის სადარაჯოზე მდგომი ეს მოსამართლეები, როცა ქვეყნის მთავარი დოკუმენტი სულ ნაწილ-ნაწილ მოირგო ექსხელისუფლებამ? ძნელი დასაჯერებელია, რომ თავმჯდომარე კონსტიტუციაში ხელისფათურის ყველა შემთხვევას კანონიერად მიიჩნევდა. სტატისტიკისთვის, ისიც გაგვახსენონ, ტურავას მსგავსად, კიდევ ვის ეწვია გიორგი პაპუაშვილი გადაწყვეტილების დასაჩქარებლად ან ვისი და რამდენი კონსტიტუციური სარჩელი დააკმაყოფილა „იმ 9-წლიანი“ და „ამ 3-წლიანი“ მმართველობების დროს. ამის არდავიწყებას, უბრალოდ, სამართლიანობა მოითხოვს. სამართლიანობა მოითხოვს, მინისტრ კახიშვილისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განცხადებების აღნიშვნასაც: „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის თანახმად, კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, ამ აქტის საფუძველზე, ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენების გაუქმებას არ ნიშნავს, იგი მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას იწვევს. შესაბამისად, პროცესის მონაწილე მხარეებს, მათ შორის ბრალდებულსაც შეუძლიათ, თავად მიმართონ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნით. პენიტენციური დაწესებულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, გაათავისუფლოს ბრალდებული პატიმრობიდან, თუ საერთო სასამართლო მიიღებს პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების გადაწყვეტილებას. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გიგი უგულავა ციხიდან ვერ გამოვა — აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე მან ან მისმა ადვოკატებმა ხელახლა უნდა მიმართონ სასამართლოს, რომელიც მხოლოდ ამის შემდეგ დაავალდებულებს კახიშვილის უწყებას, მიღებული გადაწყვეტილება შეასრულოს. აქვე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ უგულავას მიერ მოთხოვნილი ნორმის გაუქმება მხოლოდ ყოფილ მერს არ შეეხება, იგი იმ პატიმრებზეც გავრცელდება, ვინც წინასწარი პატიმრობის 9-თვიან ვადას გადააჭარბა და საუბარი იმაზე, რომ ოდესღაც, ნაციონალებმა ეს მუხლი თავისი ხელით ჩაწერეს კანონში, დღეს არაფრისმომცემია.

ფაქტია, ჭიქაში ატეხილმა ქარიშხალმა მთელ ქვეყანასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს გადაუარა. ნაციონალური მოძრაობა, ბუნებრივია, კვლავ ჩასაფრებულის როლშია და თავის საქმეს აკეთებს — ხელისუფლებას უტევს იქ, სადაც სუსტ რგოლს ხედავს. რეალურად კი, ვინ აღმოჩნდა სუსტი რგოლი მთელ ამ ჯაჭვში და რატომ აწმენდს დღეს ხელს ყველა სასამართლოს, როცა პროკურატურას გიგი უგულავასთვის, ბაჩო ახალაიასთვის, ვანო მერაბიშვილისა და სხვა ოდიოზური ფიგურებისთვის ამ ხნის განმავლობაში, ერთი სერიოზული დანაშაულიც ვერ დაუმტკიცებია?! იქნებ, „ოცნებას“ რეფორმები სწორედ პროკურატურიდან უნდა დაეწყო და დღეს ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესიც უფრო ეფექტური, ხალხი კი კმაყოფილი იქნებოდა? ან ყველამ ერთად აღიაროს, რომ პროკურატურის, სასამართლოსა და საერთოდ, ყველა უწყების გამართულად მუშაობას ხელს ისევ ნაციონალები უშლიან, ყოფილი თუ ახლანდელი „ბოსებით“, ძველი თუ არსებული გავლენებით და რომ ნაციონალების მაფია უკვდავია! თუმცა ერთი რამ ყველას ავიწყდება — არსებულ სოციალურ უკმაყოფილებას უგულავას ციხეში დატოვებით ან მისი გამოშვებით ვერცერთი მხარე ვერ გადაფარავს, რადგან დღეს ხალხის ერთადერთი რეალური საფიქრალი ეროვნული ვალუტის ისტორიული დაცემა და გაძვირებული სურსათ-მედიკამენტებია!

ვერსიანიუსი

თავდაცვის სამინისტრო სეტყვის საწინააღმდეგო ჭურვით დაზარალებულ ოჯახს ზარალს სრულად აუნაზღაურებს

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შეშფოთებულია ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში მომხდარი ფაქტის გამო.

სამინისტროს ინფორმაციით, შესაბამისი უწყებები გამოიძიებენ მომხდარის მიზეზებს და აუცილებლად დადგება კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. თავდაცვის სამინისტრო დაზარალებულის ოჯახს სრულად აუნაზღაურებს სსსტც „დელტას“ მიერ მიყენებულ ზარალს.

16 სექტემბერს „დელტას“ მიერ სეტყვასაშიში ღრუბლების აქტიური დამუშავების პროცესში ერთ-ერთი ჭურვი ადგილობრივი მოსახლის სახლს დაეცა. დამწვარია სახლის სახურავი და გაბზარულია კედლები.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

„პირველი“

მთავრობამ პარლამენტს ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრების კანდიდატურები წარუდგინა

პარლამენტში ოთხი კანდიდატურა შევიდა. კერძოდ, საბჭოს წევრად 5 წლის ვადით არჩევის მიზნით წარდგენილია ეფრემ ურუმაშვილის კანდიდატურა, ხოლო 7 წლის ვადით არჩევის მიზნით — ეკატერინე გალდავას, ირაკლი კოვზანაძისა და საშა ტერნესის კანდიდატურები.

პარლამენტი შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას მიმდინარე სასესიო კვირას გეგმავს.

„ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, სააგენტოს საბჭოს 7 წევრიდან 5-ს მთავრობის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი 7 წლის ვადით — სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

„ინტერპრესნიუსი“

გურჯაანის საპროტესტო აქციის მონაწილე ნაციონალები

ლაშა დვალი,
სპეციალურად „ვერსიისთვის“ გურჯაანიდან

გურჯაანში გამართულ აქციაზე რამდენიმე ადამიანი აშკარა აგრესიით გამოირჩეოდა. ისინი სამართალდამცავებისკენაც იწევდნენ და ზოგადად, მაქსიმალურად ცდილობდნენ, ვითარება დაეძაბათ. „ვერსია“ დაინტერესდა, ვინ იყვნენ ეს ადამიანები და ფოტოკადრებზე ასახული პიროვნებების გადამოწმება თავად ადგილობრივ მოსახლეობასთან ვცადეთ. მათ ყველა მათგანი კი ამოიცნეს, მაგრამ ისიც გვითხრეს, რომ მათი ინფორმაციით, არც ერთს ვენახი, უბრალოდ, არ აქვს. „ვერსია“ მოპოვებულ ინფორმაციას კომენტარების გარეშე გთავაზობთ, ფაქტების განსჯა და ანალიზი თქვენთვის მოგვინდია. მაშ ასე:

გია შუშტაკაშვილი — თავის დროზე მუშაობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, შესყიდვების განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად. შუშტაკაშვილი ამჟამადაც პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერია.

ზვიად დუშმანაშვილი ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი გახლავთ პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან და ამავე პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელია. 14 სექტემბერს ისიც იმყოფებოდა გურჯაანში გამართულ მევენახეების საპროტესტო აქციაზე და ყურძნის ფასს აპროტესტებდა.

ვალერი ბერიძე დუშმანაშვილის კოლეგაა და ისიც ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატია პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან. 14 სექტემბერს „უკმაყოფილოთა“ ფლანგს ისიც ამაგრებდა.

ნიკა ნოზაძე 2014 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების დროს კენჭს იყრიდა პარტია ენმ-დან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე. 14 სექტემბერს იმყოფებოდა გურჯაანში გამართულ მევენახეების საპროტესტო აქციაზე და აპროტესტებდა იმას, რაც არ აქვს — ვენახი და შესაბამისად, ყურძენი.

აქციაზე მყოფი **ალიხან ალაზოვი** 2005-2013 წლებში მუშაობდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტად. ალაზოვიც იმყოფებოდა გურჯაანში გამართულ მევენახეების საპროტესტო აქციაზე და.. ვენახი მასაც არ გააჩნია.

თემურ ბუწაშვილი დღემდე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გურჯაანის ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის ლიდერია. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გახდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, ფრაქცია „ქრისტიან კონსერვატორების“(!) წევრი. აღნიშნული პიროვნებაც იმყოფებოდა, გურჯაანში გამართულ მევენახეების საპროტესტო აქციაზე. მეგობრების მსგავსად, ვენახი არც მას აქვს.

ეთერ კორკოტაშვილი ალბათ ყველამ იხილა, პოლიციის მიერ დაკავებულ პიროვნებას რომ უტევდა, აქაოდა, გიორგი ღვინიაშვილზე ხელი როგორ აწიეო. ქალბატონი ეთერი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს მუშაობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის ტერიტორიულ ორგანოში სპეციალისტის თანამდებობაზე. კორკოტაშვილი ამჟამადაც არის პარტიის გურჯაანის ორგანიზაციის სოფელ კარდენახის კოორდინატორი. ქალბატონი ეთერიც ვენახის გარეშეა, სამაგიეროდ, დეპუტატ ღვინიაშვილს თამამად შეუძლია, პირად დაცვაში აიყვანოს.

ალექსანდრე კახიძე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს კახეთის გუბერნატორის, გიორგი ღვინიაშვილის მოადგილედ მუშაობდა. ამჟამად იგი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი და გიორგი ღვინიაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი გახლავთ. ვაზი არც მას აქვს, მაგრამ აქვს ღვინიაშვილის ნდობა და ხომ უნდა გაამართლოს?!

ზემოთჩამოთვლილი პიროვნებებიდან ყველაზე ტიტულოვანი და პრესისთვის ნაცნობი გახლავთ გურამ კაკალაშვილი — ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში. კაკალაშვილი ამჟამად ნაცმოძრაობის ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა. მართალია, დეკლარაციაში მითითებული აქვს მიწის რამდენიმე ნაკვეთი, მაგრამ ადგილობრივები ამბობენ, რომ საკუთარი ვენახი არც მას აქვს. სხვათა შორის, აქვე „ვერსიის“ ჟურნალისტებს გაახსენდათ ფაქტი, რომელიც 2012 წლის არჩევნებამდე მოხდა და რაც ჩვენს კოლეგას უკავშირდებოდა — მარინა გოგოლაძემ პროტესტის ნიშნად ტელეკომპანია „ლაგოდეხის“ ყოველკვირეული გადაცემა „სტუდია — დიალოგის“ წაყვანაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ ამის მიზეზი კომპანიის ხელმძღვანელის, ლალი ხუბულავას გადაცემის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა გახდა.

„სტუდია დიალოგი” ლაგოდეხის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, ყოველ ორშაბათს, 20 საათზე გადიოდა და სწორედ აქ გავიდა სიუჟეტი, სადაც ლაგოდეხელები ლაგოდეხის მაჟორიტარ დეპუტატს გურამ კაკალაშვილს მკვეთრად აკრიტიკებდნენ. მომხდარის შემდეგ ტელეკომპანიის დირექტორს მარინა გოგოლაძის გათავისუფლება პარლამენტის წევრმა გურამ კაკალაშვილმა არაერთხელ მოსთხოვა. უარის შემდეგ კი ლალი ხუბულავას მეუღლეს „შავები“ დაემუქრნენ, რომ თუ ტელეკომპანიის ხელმძღვანელი დეპუტატის მოთხოვნას არ გაითვალისწინებდა, მის შვილს, მე-11 კლასის მოსწავლეს ჯიბეში ნარკოტიკს ჩაუდებდნენ და „გააფუჭებდნენ“. მუქარის მომენტში „შავები“ — ზურა კაკაშვილი, მეტსახელად „ბუღა“ და გელა მახათაძე, მეტსახელად „აპო“, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის გურამ კაკალაშვილის პირად ავტომანქანაში ისხდნენ.

სხვათა შორის, ამ ფაქტზე გელა მთივლიშვილმა ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, რომელიც „ვერსიამ“ ელექტრონულ მედიაში მოიძია და აქვე აღმოაჩინა ბატონი გურამის კომენტარი, რომელსაც სიტყვა-სიტყვით გთავაზობთ: **„ჩვენთან საუბარში საქართველოს პარლამენტის წევრი გურამ კაკალაშვილი ლაგოდეხში „შავებად“ ცნობილ კაკაშვილსა და მახათაძესთან ნაცნობობასა და კავშირს არ უარყოფს. „ბუღას“ დედა ჰყავდა ავად და მანქანა მთხოვა. ალბათ მაშინ დაინახეთ. ამ ადამიანებს კრიმინალური წარსული არ აქვთ. მხედრიონელები იყვნენ თუ არა, ვერ გეტყვით. რაც შეეხება იმას, თითქოს ისინი ჩემი სახელით ტელევიზიის დირექტორს შვილის „გაფუჭებით“ დაემუქრნენ, სიმართლეს არ შეესაბამება“,** — განაცხადა კაკალაშვილმა. გელა მთივლიშვილი იმასაც წერს, რომ **„ზურა კაკაშვილი გურამ კაკალაშვილს 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროსაც ახლდა. არჩევნების დღეს სწორედ კაკალაშვილის მითითებით და „ბუღას“ ჩარევით მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის კაბალის საარჩევნო უბანზე მყოფ დამოუკიდებელ ჟურნალისტებს და დამკვირვებლებს, რომლებმაც გაყალბების ფაქტები დააფიქსირეს“.**

ნაციონალები ზონაზე

როგორ ცხოვრობენ ციხეში გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი და რა რეაქცია აქვთ პატიმრებს ბაჩანა ახალაიას შიმშილობაზე

გიორგი იაშვილი

საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადი დარჩა, რაც ნიშნავს, რომ პოლიტიკური პარტიები გააქტიურდებიან და ისე ჩანს, რამდენიმე ახალი პარტიაც შეიქმნება. სავარაუდოდ, საქართველო, პარტიების დარეგისტრირება-გაუქმების კუთხით, გინესის რეკორდსმენი იქნება, მაგრამ ეს ვის აინტერესებს, მთავარია, კონკრეტულ მომენტში კონკრეტული მესიჯი გაჟღერდეს და მერე... მერე ოთხი წელი და იმის ჯანი.

დიდი ალბათობით, წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებიც ახლა გისოსებსმიღმა არიან, საარჩევნოდ არნახულად გააქტიურდებიან და ეცდებიან, ეს მარათონი მათთვის ხსნა იყოს. გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბაჩანა ახალაია ახალი პარტიის შექმნას და არჩევნებში მონაწილეობის მიღებას დამოუკიდებლად აპირებს. პარალელურად, ახალაიამ გადაწყვიტა, შიმშილობა დაიწყოს პატიმრებისთვის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — კაცი, რომელსაც ციხეებში არსებულ სისასტიკესა და ციხის ბუნტის სისხლში ჩახშობას მიაწერენ, ახლა პატიმრების პირობებისთვის იბრძვის და თანაც, იბრძვის რადიკალური ფორმით, შიმშილობის გამოცხადება სურს.

გარედან ძნელია თქმა, რამდენად დაუჭერენ პატიმრები მხარს ახალაიას. მითუმეტეს, ყოფილი მინისტრი ე.წ. მატროსოვზე იხდის სასჯელს, ანუ მასთან ყოფილი მაღალჩინოსნები ან ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები სხედან და ძნელია გარკვევა, რამდენად უჭერენ მხარს ბატონ ბაჩანას რიგითი პატიმრები. მითუმეტეს, როგორც ამბობენ, „მატროსოვზე“ რეჟიმი ყოველთვის „მოშვებული“ იყო და იქაური პატიმრები თავს ყოველთვის სხვებზე კარგად გრძნობდნენ. ჩვენ აზრი სწორედ იმ პატიმრებს ვკითხეთ, რომლებიც სასჯელს ახალაიას მინისტრობის დროს იხდიდნენ. ერთ-ერთი პატიმარი გვიამბობს: **„ბაჩოს გავახსენებ — მე ერთ-ერთი ვარ იმ 32 პატიმრიდან, რომლებიც ციხის ბუნტის დასრულების შემდეგ მისი ბრძანებით ცალკე საკანში აგვიყვანეს. მაშინ ახალაიამ გვითხრა, ვინც ქურდებს დედას შეაგინებს, არაფერს ვერჩიო. 32-ვე ე.წ. ბლატატა იყო და შესაბამისად, ქურდებს არავინ შეაგინა. ბაჩომ, თქვენს თავს დააბრალეთო და ოთახიდან გავიდა, საკანში კი ნიღბიანი სპეცრაზმელები შემოლაგდნენ. ამ 32 კაციდან შვიდი დღემდე ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული, ორს ცემაში ამოხდა სული, დანარჩენები კი სასწაულით გადავრჩით და ახლა ეს კაცი პატიმრების უფლებებზე საუბრობს? მოდით, ჯერ ისე სცემონ, როგორც ჩვენ გვცემეს, ისე გაიმეტონ, როგორც ჩვენ გვიმეტებდნენ, ისე მოექცნენ, როგორც კარანტინში ექცეოდნენ პატიმრებს და მერე დავსხდეთ და ვისაუბროთ, ვის რა უფლება აქვს. დილა-საღამოს სანთელი აანთოს, რომ „მატროსოვზეა“ და არა ჩვეულებრივ ზონაზე, თორემ შიმშილობასთან ერთად რა ექნებოდა, ნახავდა. ჰო, სანამ სანთელს აანთებს, წყალი გადაივლოს ხოლმე, რომ შეაზიზღა თავი იქაურ პერსონალს“.**

დიდი მცდელობის შემდეგ, „მატროსოვის“ ციხის ერთ-ერთი ოფიცერი დაგვანხმდა საუბარზე და ახალაიას გარდა, სხვა მაღალჩინოსნებზეც საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა: **„ცემა-ტყეპა რომ არ გვაქვს, ამას მიხვედრაც არ უნდა. ყველა თავისებურად იქცევა. მაგალითად, გიგი უგულავა ძალიან ბევრს კითხულობს, მის საკანში, შეიძლება ითქვას, მინი-ბიბლიოთეკაა. ვანო მერაბიშვილი, „ბლატაობს“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რამე არ მოეწონება და მაშინვე გინებაზე გადადის. ბაჩო ახალაია ძალიან თავისებურია. მივხვდი, რატომ გითხრათ იმ პატიმარმა, წყალი გადაივლოს ხოლმეო. ცოტა ჰიგიენის პრობლემა გვაქვს. ზონაზე კი არა, ზოგადად, ინდივიდუალურად აქვთ პატიმრებს ჰიგიენის პრობლემები. მაგალითად, ვიღაცა რამდენჯერმე ბანაობს, ვიღაც კი თვეში ერთხელ. ვისაც როგორ უნდა... ხომ არ დააძალებ კაცს, გინდა თუ არა, ყოველდღე იბანავეო...**

სხვა დაწესებულებებთან შედარებით, აქ საკვებსაც უფრო ხშირად და უფრო მრავალფეროვანს ვუშვებთ. ერთი ეგაა, როცა მოხარშული ან შემწვარი ქათამი მოჰქონდათ, პრაქტიკულად ვაქუცმაცებდით, რადგან ქათმის ბარკლის ძვალში ბევრი რამის დამალვა შეიძლება. ახლა თავად აცლიან ძვლებს და ცდილობენ, შესატან საკვებს ჩვენ ნაკლებად შევეხოთ. პრინციპში, არც ერთხელ არ ყოფილა მცდელობა, საკვებით რამე შეეპარებინათ. პაემნებზე საუბრისთვის დრო და საშუალებაც აქვთ...“

მოკლედ ასეა — რიგითი პატიმრები ახალაიას არ სწყალობენ და გულზე ყოფილი ხელისუფლების არც სხვა მაღალჩინოსნები ეხატებათ. „მატროსოვზე“ კი... მატროსოვზე პრეზიდენტი აკლიათ, თორემ ჩვეულებრივი მთავრობაა თავის მინისტრებითო, ასე ხუმრობენ რიგითები ყოფილ გენერლებზე... ჩინით თუ არა, პოლიტიკის გენერლებზე ნამდვილად.

შს სამინისტროს საფრანგეთის ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოფიციალური ვიზიტით, საფრანგეთის ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია. დელეგაციის წევრები ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსს ივანე პაპიაშვილსა და ამავე დეპარტამენტის წარმომადგენლებს შეხვდნენ. მხარეებმა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს და ამ კუთხით თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობები განიხილეს.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრები ასევე შეხვდნენ საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს და თბილისის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელებს. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ორ ქვეყანას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობა მომავალში უფრო გაღრმავდება.

საფრანგეთის დელეგაციის წევრებმა შს სამინისტროს კრიმინალისტიკური ლაბორატორია, თბილისის მთავარი სამმართველოს ორი სამმართველო, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი „112“ და შსს-ს მომსახურების სააგენტო მოინახულეს.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით ბანგლადეშის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, პირველი სამმართველოს (ბათუმი) პირველი სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, 1987 წელს დაბადებული, ბანგლადეშის რესპუბლიკის მოქალაქე ჰუმაიუნ კ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, სასაზღვროსაკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდა.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

აგვისტოში დანაშაულმა თითქმის 4%-ით იკლო

საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყება მოიცავს საქართველოში არსებულ იმ სამინისტროების სტრუქტურაში შემავალ დანაყოფებს, რომლებიც თავიანთი ქვემდებარეობის მიხედვით აწარმოებენ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძოდ: საქართველოს მთავარი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2015 წლის აგვისტოს თვეში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 3402 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1463 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 43%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -3.82%.

2015 წლის აგვისტოს თვეში შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 2278 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1293 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 56.76%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -5.28%.

2015 წლის იანვარ-აგვისტოს თვეებში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 23550 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 13307 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 56.51%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -4.55%.

2015 წლის იანვარ-აგვისტოს თვეებში შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 16619 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 11007 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 66.23%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -4.81%.

„ვერსიანიუსი“

პატიმარი №0578

ჯარით მოვაჭრე ქურდბაცაცები

რატომ მოიხადეს მეგობრებმა 10-წლიანი სასჯელი 20-ლარად ნაყიდი საგანძურის გამო

არიან კრიმინალები, რომლებიც მხოლოდ დიდი საქმეებისთვის რისკავენ და არიან კრიმინალები, რომლებისთვისაც სულ ერთია, რას მოიპარავენ, მთავარია, სახლამდე რამე მიიტანონ. სერიოზული კრიმინალები ასეთებს ბაცაცებს ეძახიან, თუმცა ყოფილა შემთხვევა, გავლენიანი და კრიმინალური ავტორიტეტი უმნიშვნელო რამის მოპარვისთვის დაუჭერიათ. რატომ? ცუდად იდო და ავიღე, ასეთი რამ არ უნდა „გამაზო“, მერე ღმერთი აღარ გამოგიგზავნის საჩუქარს — ასეთია კრიმინალური ლოგიკა. მეორე მხრივ, „ბაცაცებს“ შეიძლება ისე გაუმართლოს, რომ...

ნახევარი ზონა დასცინოდა მიხოს და მახოს. ბავშვობის მეგობრები ჯართს იბარებდნენ. უფრო ზუსტად კი, იმ მანქანით დადიოდნენ, ყველა უბანში რომ დადის და ბოლო ხმაზე გაჰკივის: „ვიბარებთ რადიატორებს, სარეცხ მანქანებს, გაზქურებს“... ჰოდა, წესით, ისინი ციხეში არ უნდა მოხვედრილიყვნენ, თუმცა...

„პრაქტიკულად ყველგან, სადაც დავდიოდით, რაღაცას ვიპარავდით. შესაძლოა, არ დაკვირვებიხართ, მაგრამ როცა ასეთი მანქანა მოდის ეზოში, ზედ არავინ უყურებს, ზოგი ხმამაღლა, ზოგიც ხმადაბლა, მოგვაგინებს და ეგ არის... ამიტომ აიღე, რაც გინდა, ჩააგდე მანქანაში და მიდი, კაცი არაა პატრონო. იტალიურ ეზოებში სარეცხიც კი ჩამოგვიხსნია თოკიდან და წაგვიღია. შინ ხელცარიელები არასოდეს ვბრუნდებოდით, ქათმები მოგვიპარავს, ხბოც კი შევაგდეთ ერთხელ გზაზე. ანუ, რეალურად ჯართს კი არ ვიბარებდით, საშოვარზე ვიყავით და ჯართსაც თუ ვინმე მოგვცემდა, ხომ კარგი...“ — ასე დაიწყო თავისი ისტორიის მოყოლა მიხომ, როცა პატიმარი №0578 საკანში ეწვია და ნარზე ჩამოუჯდა.

„და მთელი ზონა რატომ იცინის თქვენს დანახვაზე? რა მოიპარეთ ისეთი, რამაც სასაცილოები გაგხადათ?“ — დაინტერესდა №0578.

„საქმეც ეგაა, რომ არ მოგვიპარავს — ვიყიდეთ და ჩვენდა ჭირად ვიყიდეთ“, — თავი გადააქნია მიხომ.

„რა იყიდეთ?! დალაგებით მოყევი, რა“ — უთხრა №0578-მა.

„ფიროსმანზე, ოქროს უბანში, ერთი ლოთი ცხოვრობდა. ინტელიგენტი ლოთები რომ არიან, ისეთი. გაიკეთებდა ჰალსტუხს და მთელი დღე ას გრამზე ჩალიჩობდა. ჰოდა, ეგ ლოთი კარგ რაღაცებს ჩითავდა ხოლმე. რაღაც ანტიკვარიატს გააძრობდა და ჯართის ფასში გვაძლევდა. ერთხელ მოვერცხლილი შანდლები მოიტანა, მშრალ ხიდზე ორი ათასად ჩავაბარეთ. ჰოდა, მოვიდა ერთ დღეს და გვეუბნება, უჟანგავი ლითონის კასრი მაქვს და წაიღეთო. „ნერჟავეიკას“ სხვა ფასი აქვს და გადავუხადეთ მგონი ოცი ლარი, მაგრამ კასრი ისე მომეწონა, ჯართში ჩაბარებაზე არც მიფიქრია. სახლში წავიღე და ვიფიქრე, ან ღვინოს ჩავასხამ, ან არაყს-მეთქი. დიდი კასრი არ იყო, ასე, 30 ლიტრი ჩავიდოდა, მაგრამ მძიმე იყო, თავზე ლამაზი ხრახნით.

ამ ამბიდან დაახლოებით რვა თვე გავიდა და მეგობარმა ღვინო მაჩუქა. ჭურჭელი უკან უნდა მიმეცა. გამოვავლე ამ ჩემს კასრს წყალი და ჩავასხი. ათ ლიტრზე მეტი არ ჩავიდა, არადა, აშკარად მეტი უნდა ჩავიდეს. გადმოვასხი ღვინო უკან და ფანარი ჩავანათე. ფსკერი შუაზე ჰქონდა, ანუ ბოლომდე არ ჩადიოდა და მივხვდი, რაღაც იქნებოდა. ეს რაღაც ან სიცარიელე უნდა ყოფილიყო, ან ფული. რა თქმა უნდა, თავში მილიონები მიტრიალებდა. „ნერჟავეიკას“ სხვანაირი „სვარკა“ უნდა, ვერავის ვენდე, ორ დღეში ვისწავლე როგორ უნდა გამეჭრა, ვითხოვე და დავადექი ჩემს კასრს. გავჭერი და რას ვხედავ? რაღაც ძველი ქაღალდები, სპეციალურ სარჩულში ჩადებული ვერცხლის ქამარი და ბავშვის პატარა ჩოხა, ოღონდ ისეთი ჩოხა კი არა, ახლა რომ იყიდება, ნაქსოვი ჩოხა იყო, ხელით ნაქსოვი. მაშინვე მახოს დავურეკე და მშრალ ხიდზე წავედით. იქ გვითხრეს, ეგ ჩვენთან კი არა, მუზეუმში უნდა მიიტანოთო. წავედით მუზეუმში და... საღამოს მეც და მახოც დაგვიჭირეს და ცოტა ხანში ის ჩვენი ინტელიგენტი ლოთიც მოგვისვეს გვერდით. როგორც იმან თქვა, დიდი ბებია ჰყოლია თავადის ქალი და იმას დაუტოვებია ჯერ ამის ბებიისთვის, მერე ამის დედისთვის და დედას ამისთვის და ყველას ერთი და იმავე ტექსტით — როცა გაგიჭირდებათ, მაშინ გაყიდეთო. ჰოდა, რეალურად არავინ იცოდა, რომ კასრის შიგნით სამალავი იყო. სამალავში ჩვენ რომ ძველი ქაღალდები გვეგონა, რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი და ობლიგაციები იდო. ის ნაქსოვი ჩოხაც რომელიღაც უფლისწულს სცმია თურმე თავის დროზე. მოკლედ, მილიონზე მეტის იყო ყველაფერი და როგორ გგონია, ჩვენ რა გვერგო? — ჯერ მუხლი მოგვიყენეს სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაზე, აქაოდა ქვითარი რატომ არ ამოურტყითო იმ ლოთს, მერე ისტორიული ნივთების განადგურების მცდელობაზე, რატომ არ მოიწვიეთ სპეციალისტები და ისე არ გააჭრევინეთო და ბოლოს ლამის სამშობლოს ღალატიც დაგვდეს ბრალად, მშრალ ხიდზე ყიდდით ქვეყნის საუნჯესო. ასე გამოგვივიდა ათ-ათი წელი. ვიხდით პატიოსნად. მთელი ზონაც მაგიტომ ღადაობს, ამ უბედურებმა არაფერი მოიპარეს და მაინც მოპარვა შეტენესო. ის ინტელიგენტი კიდევ გაუშვეს და მგონი მუზეუმის დირექტორმა ერთი ბოთლი არაყი უყიდა. ჰო, ტელევიზორშიც თქვეს ეს ამბავი. ოღონდ იქ თქვეს, რომ ორგანიზებული ჯგუფი ქვეყნიდან ისტორიული სიმდიდრის გატანას შეეცადა. არადა, რა გატანას, მუზეუმში მივედით, ეგებ რამე გადაგვიხადონო“, — დაასრულა მიხომ.

„მითხრეს, ერთხელ პიტბულიც მოგიპარავთ“, — გაეცინა №0578-ს.

„მაგაზე ყველას ეცინება და კინაღამ ორი კაცი შეგვჭამა. პლასტმასის რაღაც ყუთი ეგდო ეზოში. მოგვეწონა, გავიხედეთ, გამოვიხედეთ და შევაგდეთ მანქანაზე. ცოტა მძიმე კი იყო, მაგრამ რას დავეძებდით. სახლში გავხსენით და იქიდან პიტბული ამოხტა. მახოს უკბინა, მაგრამ გადარჩა, კარგად ვერ მოსდო ყბა. მივხვდით, ამ პიტბულს არავინ შეგვარჩენდა და იმ ეზოს ახლოს გავუშვით. მაგრამ მარტო პიტბულს ვინ დასჯერდა? თურმე ოპერაცია გაუკეთებიათ ძაღლისთვის, დაძინებული იყო და პატრონს სპეციალური ყუთით გამოატანეს. ათასი დოლარი ღირს ეგ ყუთები და ეძებდნენ. ისიც ჩუმად დავდეთ ღამე და რა ვიცი, მგონი, ვერავინ მიხვდა. იმის მერე დახურული ყუთები აღარასოდეს წამოგვიღია“, — გაეცინა მიხოს.

„ახლა ის მოყევით, რაც ზონაზე არ იციან“, — გაუღიმა №0578-მა.

„ეჰ... რომელი ერთი გავიხსენოთ? ახალი წელი იყო და ერთი ეზოდან გუდის ყველი მოვიპარეთ. კაცი ყიდდა ეზოს წინ. ტუალეტში მინდა, მიმიხედეთ ყველსო. ერთი თავი ავწაპნეთ. რომ მოვიდა, მადლობა გადაგვიხადა და... მაინც ვერ ვყიდი ამ ყველსო და ერთი თავი გვაჩუქა. რომ გითხრა, შეგვრცხვამეთქი, მოგატყუებ. ერთი მახომ წაიღო და მეორე მე. ის კაცი იმის მერეც ხშირად გვინახავს, მაგრამ ალბათ არ დაუთვლია, არაფერი გვითხრა“.

* * *

„ვიბარებთ რადიატორებს, სარეცხ მანქანებს, გაზქურებს“... მიხო და მახო უკვე თავისუფლებაზე არიან და ისევ ჯართს იბარებენ.

რა კავშირი აქვს ელისო ჩაფიძის ძმას გორის ავტობანზე მომხდარ ტრაგედიასთან

12 სექტემბერს, გორთან ახლოს, შავშვებში, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. შემთხვევას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო ექვსი დაშავდა. ავარიისას ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. დაშავებულები გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს. რამდენიმე დღის წინ ეს ინფორმაცია ინტერნეტსივრცეში გავრცელდა. სამწუხაროდ, ავტოსაგზაო შემთხვევები საქართველოში არც ისე იშვიათად ხდება, შესაბამისად, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სტატიის აგებას არც ვიფიქრებდით, რომ არა ერთი ზარი „ვერსიის“ რედაქციაში.

ზარის ავტორი ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილე ერთ-ერთი მძღოლის, ახალგაზრდა გოგონას ოჯახის ახლობელი აღმოჩნდა. ამ გოგონას დედა, სამწუხაროდ, ტრაგიკულ ავარიას ემსხვერპლა. ხოლო როგორც ეს ქალბატონი ირწმუნება, მეორე მანქანის მძღოლი უმრავლესობის დეპუტატის, ელისო ჩაფიძის ძმა, ამირან ჩაფიძე იყო. როგორც ქალბატონმა განაცხადა, ეს ინფორმაცია დაიბლოკა და არ გახმაურდა, რადგან საქმე პარლამენტარის ძმას ეხება. ამავე მიზეზით, მან გამოთქვა ეჭვი, რომ შესაძლოა, ავარიის ფაქტზე გამოძიება საერთოდ ჩაიფარცხოს ან მიკერძოებულად წარიმართოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონი სულაც არ ამტკიცებდა, რომ ამ საქმეში დამნაშავე მაინცდამაინც ამირან ჩაფიძეა, რომელიც საქართველოს ახალგაზრდა რკინიგზელთა ასოციაციაში მუშაობს. მისი თქმით, ჩაფიძის ძმის მანქანაში რკინიგზელთა ასოციაციის სხვა თანამშრომლებიც ისხდნენ, რომელთაგან ერთ-ერთი დაიღუპა, რამდენიმე კი დაშავდა. როგორც გარდაცვლილის ოჯახის ახლობელი ირწმუნება, იგი ამ ინფორმაციას პრევენციის მიზნით ავრცელებს, რათა მოსალოდნელი მიკერძოება და დეპუტატის მანდატის გამოყენებით, გამოძიების შედეგებზე ზეწოლა აიცილოს თავიდან.

ამ მონაყოლის გადამოწმება, პირველ რიგში, ყოფილ ჟურნალისტ, ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატ ელისო ჩაფიძესთან ვცადეთ. მან ოფიციალური კომენტარის გაკეთება არ ისურვა, თუმცა პირად საუბარში ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტი დაადასტურა და გამოძიების მიმდინარეობაში ჩარევა კატეგორიულად გამორიცხა. „ვერსიამ“ 12 სექტემბერს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის დეტალები შინაგან საქმეთა სამინისტროში მოიკითხა. შსს-ს ინფორმაციით, მომხდარ ავარიაზე გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ვესაუბრეთ შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, თეა პერტაიას. მისი თქმით, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე მძღოლთა ვინაობა პერსონალური ინფორმაციაა, რომელსაც გამოძიების დასრულებამდე არ ახმოვანებენ, თუმცა დაგვიდასტურა, რომ მიმდინარეობს ექსპერტიზა. ამ წუთებში კი, გამოძიების დასრულებამდე არც ეჭვმიტანილი არსებობს და ბუნებრივია, არც დამნაშავე. დამატებითი განმარტებები გაგვიკეთა შსს-ს პრესსამსახურის თანამშრომელმა, თეა მიხანაშვილმაც, რომლის თქმით, კომპლექსური ექსპერტიზის შედეგების დახმარებით, გამოძიება დაადგენს, ვისი მიზეზით და კონკრეტულად როგორ მოხდა ავტოავარია, რომელმაც 2 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. კანონით გათვალისწინებული ექსპერტიზის პროცედურა კი 3 კვირიდან 1 თვის ვადაში უნდა დასრულდეს.

„ვერსია“ გამოძიების მიმდინარეობასა და მის შედეგებს თვალ-ყურს აუცილებლად მიადევნებს. ჩვენთვის ისიც გასაგებია, რატომ იზღვევს თავს ერთ-ერთი დაზარალებული მხარის ოჯახის ახლობელიც — სამწუხაროდ, საქართველოს თითქმის ყველა მოქალაქეს შეეხო ის მანკიერი გამოცდილება, რომელიც 9 წელზე მეტია, საგამოძიებო თუ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდა და ე.წ. შერჩევითი სამართალი ჰქვია.

„ვერსიანიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მიზეზები, რის გამოც რძის პროდუქტი 20%-ით გაძვირდა

რით იმართლებენ თავს მწარმოებლები

რძე და რძის პროდუქტი დაახლოებით 20%-ით გაძვირდა. ეკონომიკის ექსპერტები და დარგის სპეციალისტები ამ ფაქტს ლარის კურსის დევალვაციასა და 2015 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედებულ რძის ახალ ტექნიკურ რეგლამენტს უკავშირებენ. რძის მწარმოებლებს, რომლებიც ნედლეულს უცხოურ ვალუტაში იძენენ, კურსის ცვლილება მძიმე ტვირთად დააწვათ. ახალი ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების შედეგად კი ისინი ვალდებულნი არიან, რძის მცენარეული ცხიმების ნაცვლად, პროდუქცია ნატურალური რძის ცხიმების საშუალებით აწარმოონ, რაც ასევე ძვირი უჯდებათ.

რძის პროდუქტის გაძვირების მიზეზები

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, 16 სექტემბერს, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 აშშ დოლართან მიმართებაში, 2.43 ლარზე დაფიქსირდა. თუმცა, ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებში, 1 აშშ დოლარის შეძენა 2.54 ლარად იყო შესაძლებელი. ცხადია, ლარის კურსის ცვლილება სხვადასხვა პროდუქციის ფასზე მოზმედებს, რაც ელექტროენერგიის ტარიფის მატებაც დაერთო. მოკლედ, ცხელ ზაფხულს არც ისე გრილი შემოდგომა მოჰყვა, რომელიც საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა, როგორც პოლიტიკურად — აქციებით კახეთში და დაპირისპირებით პარლამენტში, ასევე ეკონომიკურად — სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული ყურძნის პოლიტიკურ ფასს რომ თავი დავანებოთ, ცხოვრება საგრძნობლად გაძვირდა.

ამ ფონზე, რძის პროდუქტზე ფასის მატებაში უჩვეულო თითქოს არაფერია, მაგრამ ამ პროდუქტს რასაც ნებისმიერი ოჯახი დიდი ოდენობით მოიხმარს. განსაკუთრებით, თუ ოჯახში ბავშვი, ორსული, ავადმყოფი ან თუნდაც პენსიონერია, ამიტომ რძისა და რძის პროდუქტის თუნდაც 10-15 თეთრით გაძვირება საშუალო სტატისტიკური ოჯახის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება, რასაც სხვა პროდუქტის, საწვავისა და დენის გაძვირებაც ემატება.

ოფიციალური ინფორმაციით, ახალ რეგულაციას ანუ რძის ტექნიკურ რეგლამენტს პროდუქციის გაძვირება არ გამოუწვევია. მისი მთავარი ამოცანა მომხმარებლის უფლებების დაცვაა, რადგან მათ უნდა იცოდნენ, რას ყიდულობენ და რა ინგრედიენტებს შეიცავს არაჟანი, ხაჭო, მაწონი თუ იოგურტი. მომხმარებელმა ზუსტად უნდა იცოდეს, რომ მაწონი, რომელსაც ყიდულობს, ნატურალური რძის და არა მცენარეული ცხიმებისგანაა დამზადებული. შესაბამისად, მეწარმემ, რომელიც რძის პროდუქტის ტრადიციულ სახელწოდებებს — რძეს, ხაჭოს, მაწონს ან იოგურტს გამოიყენებს, ისინი რძის ნედლეულისგან უნდა აწარმოოს.

დარგის სპეციალისტების განცხადებით, მცენარეული ცხიმებითა და ცილებით მომზადებული რძის პროდუქტი ხშირად ალერგიას იწვევს. უხეში გათვლებით, რძის ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედებამდე, საქართველოს ბაზარზე არსებული მსხვილი კომპანიების წარმოებული რძის პროდუქტის დაახლოებით 30% სწორედ მცენარეული ცხიმებით მზადდებოდა, 70% — ნატურალური რძისგან და ორივე სახის ნედლეულით მომზადებულ რძის პროდუქციას საკუთარი მომხმარებელი ჰყავს.

რას ნიშნავს რძის ტექნიკური რეგლამენტი

2015 წლის 1 აგვისტოდან, რძის მწარმოებლებისა და გადამამუშავებლებისთვის რძის ტექნიკური რეგლამენტი ამოქმედდა, რომელიც რძის სექტორს ორი მიმართულებით არეგულირებს: ერთი მხრივ, რძის, რძის ნაწარმისა და მისი შემცველი პროდუქტის ეტიკეტირების წესებს განსაზღვრავს, ხოლო მეორე მხრივ, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სავალდებულო პირობებს აწესებს. თუ კომპანიები პროდუქციას მცენარეული რძის ცხიმის ნედლეულით აწარმოებდნენ, 1 აგვისტოდან ასეთ პროდუქციას არაჟანს, ხაჭოს, ყველს, იოგურტს ან კეფირს ველარ უწოდებენ და ვერც ამ სახელწოდებით გაყიდიან. ეკონომიკური მიმართულებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი განუყოფელი ნაწილია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება“, რომელიც მსოფლიოს უდიდეს ბაზარზე წვდომის საშუალებას გვაძლევს. ასოცირების ხელშეკრულებაში მთავარი მომხმარებელთა უფლებების დაცვაა და ბაზარზე გატანილი საქონელი უსაფრთხო უნდა იყოს. გარკვეულწილად, ეს ბიზნესისთვის ერთგვარი ტვირთიცაა, რადგან ასეთი რეგულაციები დანახარჯსაც გულისხმობს, თუმცა ამის მიუხედავად, საქონელი კონკურენტუნარიანი გახდება და მაღალ სტანდარტებსაც დააკმაყოფილებს, რაც საბოლოოდ, ქართულ ეკონომიკას განავითარებს.

საქართველოს რძის ინდუსტრიაში მცენარეულ ცხიმებს აქტიურად იყენებენ. ახალი ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც 1 აგვისტოდან ამოქმედდა, მცენარეული ცხიმების გამოყენებას არ კრძალავს, უბრალოდ, მწარმოებლებს მოუწევთ, მცენარეული ცხიმებით წარმოებული პროდუქციისთვის შესაბამისი სახელწოდება მოიფიქრონ. ეტიკეტზე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს რძისშემცველი პროდუქტია. სპეციალისტებისა და ეკონომიკის ექსპერტების გათვლით, ახალ ტექნიკურ რეგულაციას რძის პროდუქციის უმნიშვნელო გაძვირება მოჰყვება, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში, ფასს ბაზარი დაასტაბილურებს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარდა, დარგის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ახალ რეგულაციას ნატურალურ ნედლეულზე მოთხოვნის ზრდა და საქართველოში მეცხოველეობის სექტორის განვითარება უნდა მოჰყვეს.

რძის ტექნიკური რეგლამენტი წარმოებისა და გადამუშავების სტანდარტებს აერთიანებს. ამ რეგლამენტით, მეწარმე, რომელიც ნედლ რძეს თერმულად ამუშავებს, ვალდებულია, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილები სისტემა — HACCP დანერგოს. ეს სისტემა სურსათის უვნებლობის თანამედროვე მიდგომას ნიშნავს. ნედლი რძის გადამამუშავებელ საწარმოებში HACCP-ის დანერგვას სურსათის ეროვნული სააგენტო აკონტროლებს. სისტემის წარმატებით დანერგვის შემდეგ, სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებს და დაადასტურებს, რომ საწარმო სურსათის უვნებლობის წესებს იცავს.

რატომ გაძვირდა რძის პროდუქტი

რამ გამოიწვია რძისა და რძის პროდუქტის გაძვირება? საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი რძის დარგში ზურაბ ცქიტიშვილი „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ რძის პროდუქტის გაძვირება თანაბრად უკავშირდება ლარის კურსის დევალვაციასაც და რძის ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედებასაც, რომელიც ძალაში 2015 წლის 1 აგვისტოდან შევიდა.

— რძის მწარმოებლები იმპორტირებულ ნედლეულს იყენებენ, რომელსაც უცხოური ვალუტის, დოლარის ან ევროს საშუალებით იძენენ... რადგან დოლარი ევროსთან მიმართებაში გამყარდა, მწარმოებელს ნედლეული გაუძვირდება და ბუნებრივია, ეს პროცესი პროდუქციის ფასზეც აისახება.

— ბატონო ზურაბ, რა სახის ნედლეულს გულისხმობთ, რას იყენებენ რძის მწარმოებლები?

— რძის უცხიმო ფხვნილს, რძის ცხიმიან ფხვნილს, შესაფუთ მასალას, ფოლგას... შესაძლოა, მეწარმემ უცხოური კარაქიც იყიდოს, რაც ძირითადი ნედლეულია რძის პროდუქციის წარმოებაში. მწარმოებლები სხვადასხვა სახის დედოსაც იყენებენ, რისი კულტურაც უცხოეთიდან შემოდის, რადგან საქართველოში არ მზადდება, ეს კი ცალკე პრობლემაა ადგილობრივი პროდუქციის წარმოებაში. რაც მთავარია, ყველა აუცილებელი დანამატი, ნედლეული და შესაფუთი მასალა იმპორტირებულია და ბუნებრივია, ფასზე დოლარის კურსის ზრდა გავლენას ახდენს.

— მეწარმეების ნაწილი აცხადებს, რომ რძის პროდუქტი ახალი რეგულაციის ამოქმედების შედეგად გაძვირდა. ტექნიკურ რეგლამენტს ფასის ზრდა უნდა მოჰყოლოდა?

— ის კომპანიები, რომლებიც მცენარეულ ცხიმზე მუშაობდნენ, რაც, რა თქმა უნდა, ბევრად იაფი უჯდებოდათ, 2015 წლის 1 აგვისტოდან იძულებულები არიან, ნატურალური რძის ცხიმი გამოიყენონ, რაც გაცილებით ძვირი ნედლეულია. მაგალითად, ნატურალური რძის ცხიმით მომზადებული კარაქი ტრანსპორტირებადია, ემულგირების წესის გამოყენებით კი მისგან არაჟანსა და სხვა პროდუქციას ამზადებენ. შესაბამისად, რძის მწარმოებელს ამ ნედლეულის გამოყენება ძვირი უჯდება და ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ საბოლოო პროდუქტსაც მოუმატა ფასი, რაც სწორედ რძის ახალი ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედებამ გამოიწვია. ნებისმიერ შემთხვევაში, რძის პროდუქცია იმის მიხედვით გაძვირდა, რა მოცულობის ნედლეული შეცვალეს მწარმოებლებმა — რა რაოდენობის მცენარეული ცხიმები ჩაანაცვლეს ნატურალური რძის ცხიმებით. სხვათა შორის, ზოგიერთი საზრიანი მეწარმე ასე მოიქცეოდა — მართალია, ნედლეული გაუძვირდა, რომელსაც პირობითად, არაჟნის მოსამზადებლად იყენებდა, მაგრამ სხვა ნედლეულის რეალიზაციას გაზრდიდა, ხარჯსაც ამით გადაფარავდა და საბოლოო პროდუქციასაც არ გააძვირებდა. ფასის მატებით ხომ მეწარმე მომხმარებელს კარგავს, რაც არ აწყობს. ასეა თუ ისე, ბაზრის ძირითადი მოთამაშეები რძის ახალ ტექნიკურ რეგლამენტს დაემორჩილნენ. სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებს პირადად შევხვდი, რომლებმაც დაუფარავად განმიცხადეს, რომ რძის ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება სწორი გადაწყვეტილება იყო.

***

„სანტეს“, „სოფლის ნობათის“, „მილკოფუდის“ (ყოფილი „ეკოფუდი“), „ქობულეთურის“ პროდუქტი ბაზარზე, დაახლოებით, 10-15 თეთრით გაძვირდა. ერთია ეკონომიკის ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების შეფასება, ხოლო სულ სხვაა რძის მწარმოებლების ოფიციალური პოზიცია. რატომ გაძვირდა რძე და რძის პროდუქტი მაინცდამაინც 2015 წლის 1 აგვისტოს შემდეგ?

„სანტე ჯი ემ თი პროდუქტების“ წარმომადგენელმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ მათი პროდუქციის გაძვირება ლარის კურსის დევალვაციასა და რძის ახალი ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედებას თანაბრად უკავშირდება: **„იძულებულები გავხდით, 2015 წლის 1 აგვისტოს შემდეგ, ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქცია დაახლოებით, 10-15%-ით გაგვეძვირებინა. ნედლეული და შესაფუთი მასალა ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან შემოგვაქვს და ბუნებრივია, კურსის ცვლილება მძიმე ტვირთად დაგვაწვა. რაც შეეხება რძის ტექნიკურ რეგლამენტს, 1 აგვისტოს შემდეგ ჩვენი კომპანია მხოლოდ ნატურალური რძის ცხიმებს იყენებს, რაც საკმაოდ ძვირი გვიჯდება“.**

ვერსიანიუსი

საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით მსოფლიოში მე-11 ადგილზეა

2015 წლის ანგარიშის მიხედვით, 2013 წელს საქართველო მსოფლიოს ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალ ქვეყნებს შორის მე-11 ადგილზეა და რამდენიმე წამყვან დასავლურ ქვეყანას უსწრებს.

საქართველო რეიტინგში 7.83 ქულით ისეთ ქვეყნებზე წინაა, როგორიცაა აშშ, ფინეთი, დანია, ნორვეგია, გერმანია...

ეკონომიკური თავისუფლების 2015 წლის ანგარიში მომზადებულია Fraser-ის ინსტიტუტის მიერ და მოცემულია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 157 ქვეყნისთვის. ანგარიში აფასებს ეკონომიკურ თავისუფლებას 2-წლიანი შუალედით. შესაბამისად, 2015 წლის ანგარიშში მოცემულია ეკონომიკური თავისუფლების შეფასება 2013 წლისთვის.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს საქართველო მე-14 ადგილზე იყო 7.78 ქულით.

2013 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა რამდენიმე მიმართულებით, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გაუმჯობესება სამართლებრივი სისტემისა და საკუთრების უფლების დაცვის კომპონენტში. კერძოდ, ამ კომპონენტში მდგომარეობა გაუმჯობესდა სასამართლოს დამოუკიდებლობის, სასამართლოს მიუკერძოებლობის, საკუთრების უფლებების დაცვის და სხვა ქვეკომპონენტებში.

ასევე, მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ვაჭრობის თავისუფლების კუთხით, სადაც რეიტინგი გაიზარდა ვაჭრობაში არასატარიფო ბარიერების შეზღუდვის კუთხით.

აღნიშნული ინდექსი აფასებს, რამდენად უწყობს ხელს ქვეყანაში არსებული პოლიტიკა და ინსტიტუტები ეკონომიკურ თავისუფლებას. ინდექსი შედგება რამდენიმე კომპონენტისგან, რომელთა შორისაა: მთავრობის ზომა (ხარჯები, გადასახადები და სახელმწიფო საწარმოები); სამართლებრივი სტრუქტურა და საკუთრების უფლების ფინანსურ რესურსებზე წვდომა; საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება; შრომისა და ბიზნესის რეგულირება. აღნიშნული კომპონენტები, თავის მხრივ, მრავალ ქვეკომპონენტს მოიცავს.

bpn.ge

ექსკლუზიური ინტერვიუ ფშავის ხევისბერთან

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

შუაფხოში ფშაველების სალოცავის, „ცაბაურთის მთავარანგელოზის“ ხევისბერი გივი პარკენაშვილი „ვერსიას“ ფშავისა და ფშაველების ადათ-წესებზე, საქართველოსთვის მოვლენილ განსაცდელზე, ასევე მეორედმოსვლასა და თავის ხილვებზე ექსკლუზიურად ესაუბრება.

— ხევისბერო, ცაბაურთის მთავარანგელოზის სალოცავს ბევრი მომლოცველი ჰყავს?

— ცაბაურთის მთავარანგელოზს უძველესი დროიდან ჰყავს მომლოცველები და ხატის ყმები. ფშავში ხატი ღვთისშვილთანაა გაიგივებული. მათ ღვთისაგან საყმო აქვთ ნაბოძები, ოდესღაც ხორციელნი იყვნენ და აღსასრულის შემდეგ ანგელოზებად იქცნენ. ხორციელობის ჟამს ფშავში ცხოვრობდნენ და ადამიანთა მტრებს, დევ-კერპებს ებრძოდნენ. სწორედ ამის გამო უქცევია ღმერთს ისინი სულიწმინდებად და ფშავის ხევი უჩუქებია, ამიტომ დღეს ფშაველები, თავს ამ სულიწმინდადქცეული ხატების ყმებად მიიჩნევენ. ცაბაურთობა ყოველი წლის ივლისში იმართება. აქ მთის შესაბამისი წესები მოქმედებს — იკვლება საკლავი, იჭრება ქადები, ვკითხულობთ ლოცვებს, უფალს ვავედრებთ საქართველოს, ქრისტიანებს და სრულიად პლანეტა-დედამიწის მცხოვრებლებს. ცაბაურთობა ერთ-ერთი დიდებული და უდიდესი დღესასწაულია ფშაველი ხალხის, განსაკუთრებით კი, ამ სალოცავის ყმებისთვის. ამ ხატის ყმა იყო უდიდესი პოეტი ვაჟა-ფშაველა, რომლის ვაჟკაცურ ქმედებებზეც ამბებს ყვებოდნენ უხუცესი ფშაველები. ცაბაურთის მთავარანგელოზი იმდენად სასწაულმოქმედი სალოცავია, რომ მახსოვს, ჩემს ბალღობაში აქ დავრდომილი ქალი მოიყვანეს და, მთავარანგელოზისა და ღვთის შეწევნით, ფეხზე დადგა, გაიარა. მთავარია, ადამიანს რწმენა ჰქონდეს, უფლისგან განდგომილი არ იყოს და შემოქმედი ყოველთვის დაეხმარება.

— როდის გადაწყვიტეთ, ჩამდგარიყავით ღვთისა და ერის სამსახურში და ხევისბერი გამხდარიყავით?

— ცოდნა მხოლოდ წიგნიდან არ მაქვს მიღებული, ბევრი რამ სულიწმინდის მადლით ვისწავლე. ყველაფერი ჩემს თავს, იესო ქრისტეს წმინდა ხელდასხმით მოხდა. არ ვიცოდი სჯულის აღვლენა, ლოცვაც კი არ ვიცოდი... ცაბაურთის ხევისბერობის გადაწყვეტილება ღვთის მეოხებითა და ხალხის თხოვნით მივიღე. არ მეგონა, სულიერი მამები ამხელა პასუხისმგებლობას თუ დამაკისრებდნენ. როდესაც ლოცვას აღვავლენ, თითქოს ხორციელი ადამიანი აღარ ვარ, ჩემში თითქოს სულიწმინდა სახლდება და ვამბობ იმას, რაც მას სურს. იგი ჩემი ბაგით საუბრობს. ამას გულმა და გონებამ რომ გაუძლოს, ისე ვიღლები, ლამის გონი იქვე დავკარგო — სისხლხორციელ ადამიანს არ ძალუძს ამ მადლის მიღება, ამიტომ განსაკუთრებული მარხვით ვემზადები. მე-13 წელია ვმარხულობ და დღეგამოშვებით ვიკვებები. წყალსაც დღეგამოშვებით ვსვამ. ზოგი ამბობს, ცოდვასა შვრებიო, მაგრამ ეს მე არ მომიგონია — თუ გინდა, ძალა მოიკრიბო და განიწმინდო, ასე უნდა მოიქცე. თუ ამას არ გავაკეთებ, სულიწმინდა არ შემოვა ჩემში და ვიქნები ჩვეულებრივი ადამიანი.

— ბევრი მიიჩნევს, რომ სალოცავებისთვის მსხვერპლთშეწირვა წარმართული და მიუღებელია. ამ ტრადიციის გაგრძელებას მიესალმებით?

— მსოფლიოში პირველი ტაძარი იერუსალიმში, ღვთის კურთხევით, სოლომონ ბრძენმა ააგო ხელსაწყოების გარეშე. ეს ტაძარი უნდა ყოფილიყო მსოფლიოს ქვეყნების სარწმუნოების ნავსაყუდელი. სწორედ ამ ტაძარში დაიკლა ათასობით საქონელი და მათი სისხლი ეპკურა ხალხს, რათა მთელი წლის განმავლობაში ჩადენილი ცოდვებისგან განწმენდილიყვნენ. ასე ხდება დღესაც. მსხვერპლთშეწირვის შემდეგ, ხატში პირველად გამოყვანილ ოჯახის ახალ წევრს შუბლზე სისხლით ჯვარს იმიტომ ვუსახავთ, რომ ყველანაირი ცოდვისგან გათავისუფლდეს. მსხვერპლთშეწირვა ადამიანის ცოდვების გამოსასყიდლად ხორციელდება. ასე რომ, საკლავი იმიტომ არ იკვლება, ჭამო და უხეშად რომ ვთქვათ, ხორცით გაძღე და ცეკვა-თამაში გამართო.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ სასულიერო პირებთან და თქვენს მიერ აღსრულებული წესები და ლოცვები ტაძარში მოქმედ წესებთან შესაბამისობაში თუა?

— მღვდლები გვედავებიან, რომ იესო ქრისტე შეეწირა ხალხის მაგივრად, კაცობრიობამ კი ცოდვების გამოსასყიდად საკმარისი და უდიდესი მსხვერპლი გაიღო, მაგრამ დღეს მოვლენილ ცოდვებს ხალხი ვეღარ უძლებს... მაგიტომაა ამდენი მკვლელობა თუ თვითმკვლელობა. ვინც ამბობს, ქრისტესი ვარო, ქრისტეს მსგავსად უნდა ცხოვრობდეს. აი, ამ დაწყევლილ ცხოვრებაში რომ ცხოვრობ, ამბობ, ქრისტესი ვარო და არ ერიდები ამის თქმას, ვერანაირად ვერ გახდები ქრისტესი. უნდა გაექცე ამ ცხოვრებას, უფრო სწორად, გაერიდო და ბევრ რამეს აირიდებ თავიდან. ენა-ყბაზე მეტად, არაფრით ნადგურდება ადამიანი. ეს ყველაზე მეტად ანადგურებს ადამიანის სულიერებას. იესო ქრისტე ამბობს, „ნუ გგონიათ, რომ რჯულის გასაუქმებლად მოვედი, მე რჯულის აღსასრულებლად მოვედი“. რჯული იყო, სანამ იესო ქრისტე მოევლინებოდა ქვეყნიერებას. ცოდვების განსაწმენდად ადამიანებს ჭირდებოდა რაღაც და დაუწერეს რჯული, რადგან ცოდვები რჯულით შეიცნობა. ამას პავლე მოციქული კარგად ხსნის — თუ შენ არ გინდა რჯულის აღსრულება, მაშინ სულიერად იცხოვრე. სამღვდელოების პირები ამბობენ, რომ ისინი სულიერი მოძღვრები არიან, მაგრამ... სულიერი მოძღვრობა ის კი არ არის, მწიგნობარი იყო. ქრისტემ უთხრა მათ, რომ ისინი არიან მწიგნობრები და მხოლოდ მწიგნობრობით ვერ შევლენ სასუფეველში.

არ ვამბობ, რომ მწიგნობრობა და წიგნიერება ცუდია, უბრალოდ, ამ ცოდნას სულიერებაც უნდა ემატებოდეს. ბევრი ამოეფარა ანაფორასა და ტაძარს ისე, რომ უფლის სახელს გაიძახის და ვითომ ლოცულობს ხალხთა მოსაჩვენებლად. ბოდიში მომითხოვია, სად გაგონილა ამ დაწყევლილ და ეშმაკისეულ ცხოვრებაში ღვთისმსახური კაცი ისე გასუქდეს, როგორც ბევრია ჩვენში, დევივით რომ ადევს მუცელი და ვეღარ ხედავს საკუთარ ფეხებს?! ღვთისმსახური უნდა იყოს ტანჯულ-წამებული! მე ბრალმდებელი არ ვარ. მათი საქმეები და საქციელია მათივე ბრალმდებელი. საბედნიეროდ, არიან ისეთი სასულიერო პირებიც, რომლებიც თავიანთი განათლებითა და სულიერებით ჩემს გულსაც ახარებენ... მინდა, ისინი ღმერთმა გააძლიეროს და გაახაროს.

— რას მიიჩნევთ ქართველი ხალხისა და ქრიასტიანული სარწმუნოების გადარჩენის გზად?

— მე ვარ მთავარმოწამე და მაქვს ცნობა, რომ მე-4 წელია ქრისტეს მეორედმოსვლა დაიწყო. 2012 წლისთვის რომ იწინასწარმეტყველეს მაიას ტომელებმა, დაიშლებაო სამყარო, ხალხს ეგონა, ეს ერთ დღეში, ერთ წამში მოხდებოდა, მაგრამ

მთავარანგელოზებმა როგორც მითხრეს, მეორედ მოსვლა 2012 წელს დაიწყო. იმედი მაქვს, საქართველოს მალე ეშველება, ურჯულოება მალე განიწმინდება ქვეყნიდან და ერიც დაისვენებს. მქონდა ხილვა შობის მარხვაში, სადაც იესო ქრისტე იყო მობრძანებული და გამომიცხადა, რომ მალე იქნება ყველაფერი და მალე, მალე წარიმართება ეს ყველაფერი, მთელი ქვეყნიერება წარიხოცება. 144 000 ათასი ადამიანი გადაირჩევა. ასე წერია იოანეს გამოცხადებაშიც, რომ ამ რაოდენობის ადამიანი იქნება გარჩეული 7 მილიარდი ადამიანიდან. ვინ იქნება აქედან რჩეული, ამას უფალი ღმერთი გადაწყვეტს.

მე ხომ მთავარი მოწამე ვარ, მამაზეციერის სიტყვებს ვამბობ, მე დამდებენ ბრალს, რომ ეშმაკის ხიბლში ვარ მოსული და მე ვირქმევ ჩემს თავზე, მაგრამ მამაზეციერმა ბრძანა, არ არსებობს დედამიწაზე ადამიანი, რომელიც შენნაირად მემსახურებოდესო. იესო ქრისტემ ბრძანა, მოგევლინებათ ანტიქრისტე, რომელიც ძლიერ სასწაულებს მოახდენსო. ჩემგანაც იქნება სასწაულები, მაგრამ... ხალხი კი იტყვის, რომ აგერ, ეშმაკისგან ხო უნდა ყოფილიყო სასწაულიო და ჩემზე იტყვიან ამას.

— როგორ უნდა გაარჩიოს ადამიანმა, რომელია ღვთისგან მოვლენილი სასწაული და რომელი ეშმაკისგან?

— ვინც შეწყალებულ იქნება, ის აიღებს სწორ მიმართულებას. იგი თავისი ცნობიერებით მიხვდება სწორ გზას. თუ ღმერთმა შეიწყალა, მაგალითად, რომელიმე ადამიანი, მიეცემა მას ცნობიერება, წავიდეს იქით, საითაც უფალია. გაირჩევიან მარცხნივ თხები (ადამიანები) და მარჯვნივ ცხვრები (ღვთის ადამიანები). მარჯვნივ მოვხვდები თუ მარცხნივ, ჩემი არჩევანია. თუ ადამიანმა სწორი არჩევანი ვერ გააკეთა, თავისთავად დაიღუპება. დღეს ყველას სურს, საკუთარი რელიგია სხვა ქვეყანაზეც გაავრცელოს. ჩვენ ვართ ის ერი და იმ სარწმუნოების ხალხი, რომელიც ამას არ ვცდილობთ. მიმაჩნია, რომ სამი ანტიქრისტედან ერთ-ერთი რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი პუტინია.

„შხამიანი“ კბილის პასტებით ბოლო 5 წელიწადში 10 000 ბავშვი მოიწამლა!

რა მავნე ნივთიერებებს შეიცავს პირის ღრუს მოვლის საშუალებები

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

მსოფლიო ბაზარზე არსებული ჰიგიენის საშუალებების ვარგისიანობა არაერთხელ რომ დადგა კითხვისნიშნის ქვეშ, ფაქტია და ისიც უდავოა, რომ მწარმოებლები ნემსის ყუნწში ძვრებიან კოლოსალური მოგების მისაღებად. დიდი ამბავი, თუ ამა თუ იმ საშუალების წარმოებისთვის აუცილებელი ნედლეული უხარისხოა და არცთუ იშვიათად, სერიოზულად ვნებს ჯანმრთელობას.

იგივე მდგომარეობაა კბილის პასტის საწარმოებში — მწარმოებელმა ყოველთვის უნდა მიუთითოს შეფუთვაზე მინარევები, მაგრამ რეალურად, მომხმარებელი ლამაზად შეფუთულ ნელი მოქმედების ნაღმს ისე ყიდულობს, წარმოდგენაც კი არ აქვს...

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ის გვესმის, როგორი საზარგებლოა კბილის პასტის შემადგენლობაში არსებული ნივთიერებები ბავშვებისთვისაც კი, ისინი არც ისე უსაფრთხოა, როგორც გვგონია.

წლების წინ აშშ-ს წამლისა და საკვები პროდუქტის კონტროლის სააგენტომ პირდაპირი რეკომენდაცია გასცა კბილის პასტის მწარმოებლებისთვის — თუ მათი პროდუქცია შეიცავდა ფტორს, ეს ინფორმაცია შეფუთვაზე აუცილებლად უნდა დაეტანათ. ფტორი, ფლუორიდი, ეთილის სპირტი... ეს წარწერები დღეს უკვე არაერთ კოლოფს ამშვენებს, მაგრამ მათი რეალური „სახე“ მომხმარებელმა იცის თუ არა, ესაა საკითხავი. მაგალითად ვინ წარმოიდგენდა, რომ ფლუორიდის ცისტერნებზე თავის ქალაა დატანილი, არადა ეს ნივთიერება კბილის პასტაში ნაკლებად უსაფრთხოდ გვეჩვენება... ჰიგიენური საშუალებების კვლევითი განყოფილების დირექტორი რეჯინა მისკევიჩი მიიჩნევს, რომ: „ბავშვი შესაძლოა დაიღუპოს ამ ნივთიერების ორგანიზმში მოხვედრის შედეგად“. ფლუორიდი ნარკოტიკად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისუფალ გაყიდვაშია, მკვლევარები თანხმდებიან — ეს ნივთიერება ორგანიზმში გარკვეულ ცვლილებებს იწვევს. მერე რა, თუ არ იწვევს დამოკიდებულებას, მაინც არავინ უარყოფს, რომ ფლუორიდი შხამია! ეს კანცეროგენი ხელს უწყობს სიმსივნის წარმოქმნას და ჯერ კიდევ 1977 წელს აშშ-ს კიბოს ინსტიტუტმა ფლუორიდსა და სიმსივნეს შორის უშუალო კავშირი დაადგინა.

კბილის პასტების კიდევ ერთი, უცვლელი ინგრედიენტი ფტორია და მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში მის უვნებლობაზე აქტიურად საუბრობდნენ, სტატისტიკური მონაცემები საპირისპიროს მოწმობს: აშშ-ში წყლის ფტორირება ყოველწლიურად იწვევს ართრიტის 40 მლნ შემთხვევას, ბავშვებში კბილების დეფორმაციის 8 მლნ შემთხვევას, 2 მლნ ბავშვში ალერგიას, კიბოთი გარდაცვალების კი 10 100-ზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება.

არანაკლებ მავნეა ეთილის სპირტი (ეთანოლი), რასაც ძირითადად პირის სავლებები შეიცავს. აღარაფერს ვამბობთ არომატიზატორებზე, რომელსაც მწარმოებლები უხვად უმატებენ საბავშვო პასტებს და შედეგად მავნე ნივთიერებები ადვილად აღწევს ორგანიზმში, რადგან პატარები, მოგეხსენებათ, ვერ აკონტროლებენ ყლაპვის რეფლექსს.

სორბიტოლი პასტის გამოშრობას უშლის ხელს, ბავშვებში კი მან შესაძლოა დიარეა გამოიწვიოს. ტრიკლოზანი კი, ანტიბიოტიკია, რომელიც პირის ღრუში მავნე ბაქტერიებს ებრძვის და მასთან ერთად მეგობარ ბაქტერიებსაც სპობს ისე, როგორც ყველა სინთეტური ანტიბიოტიკისთვისაა დამახასიათებელი.

კიდევ ერთი ინგრედიენტი, რომელსაც ზოგიერთი პასტა შეიცავს, ლაურილსულფატია (Sodium Lauryl Sulfate – SLS), რომელსაც ნაკლებად არეკლამებენ მწარმოებლები და მხოლოდ იმას იტყობინებიან, რომ წარმოქმნის ქაფს... რეალურად კი, ეს იაფფასიანი სარეცხი საშუალებაა, რომელიც ქოქოსის ზეთისგან მიიღება ქიმიური სინთეზით და მას ხშირად იყენებენ შამპუნში, სააბაზანო გელსა თუ სხვა საშუალებებში... ჯორჯიის შტატის სამედიცინო კოლეჯის კვლევებმა ცხადყო, რომ SLS აღწევს თვალებში, ტვინში, გულში, ღვიძლში და რთულად გამოიდევნება ორგანიზმიდან, რაც განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისთვის. SLS ასევე ცვლის ცილოვან შემადგენლობას ბავშვის თვალში, აფერხებს ბავშვების ნორმალურ განვითარებას, იწვევს კატარაქტას, ხელს უწყობს თმის ცვენას, სხვა ნივთიერებებთან შერწყმის შედეგად კი წარმოქმნის ნიტრატებს, რომელიც აღწევს სისხლში;

შემდეგი მავნე ნივთიერება ლორეტ სულფატია (Sodium Laureth Sulfate - SLES), რომელიც სხვა ნივთიერებებთან შერწყმისას, ნიტრატებთან ერთად დიოქსინებს წარმოქმნის. ის ძირითადად გამოიყენება ფარეხში იატაკის საწმენდად. ჯორჯიის შტატის სამედიცინო უნივერსიტეტის კვლევებმა კი დაადასტურა, რომ მას აქვს ქსოვილში შეღწევის თვისება, საკმაოდ რთულად გამოიდევნება ორგანიზმიდან და ნორვეგიელი მკვლევარების მტკიცებით, ხელს უწყობს წყლულების წარმოქმნას.

და მაინც, რატომ ერიდებიან ამ საკითხზე ხმამაღლა საუბარს? — როგორც წესი, ასეთ ისტორიებში დიდი ფული და პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს ცვლის. პირველი განცხადება ფტორის ფსევდომარგებლობის შესახებ მკვლევარმა ჯერალდ კოკსმა გააკეთა მელონის ინსტიტუტიდან. ეს ინსტიტუტი კი მეტალის გადამამუშავებელი ინდუსტრიის მთავარი დამცველი იყო; ფტორიზაციის მეორე მომხრე ჰერალდ ჰოჯი იყო, რომელიც რადიაციის გავლენას იკვლევდა ადამიანებზე და წარბშეუხრელად უკეთებდა მათ პლუტონიუმის ვაქცინებს. ჰოკსი მთავარ ტოქსიკოლოგად მუშაობდა „მანჰეტენის პროექტში“ და პირდაპირი დავალება ჰქონდა, ფტორის მავნებლობის დამადასტურებელი ყველა კვალი გაენადგურებინა, რადგან თუ აღიარებდნენ, რომ წყლის ფტორირება საფრთხეს წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის, ატომურ ენერგეტიკაზე მომუშავე კომისიას, ხელისუფლებასა და აშშ-ს არმიას არაერთი სასამართლო პროცესი ელოდა, ჰაროლდ ხოჯი კი მათ ავტორიტეტს კითხვისნიშნის ქვეშ ვერ დააყენებდა.

აქედან თავისთავად ჩანს ლოგიკური პასუხი კითხვაზე — რატომ აძლევენ მწარმოებლებს უფლებას, გამოიყენონ მავნე ინგრედიენტები:

ნედლეულის მინიმალური თვითღირებულება საშუალებას იძლევა, მწარმოებლებმა კოლოსალური მოგება ნახონ და გარდა ამისა, მათი კონტროლი ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხია მსოფლიო ინდუსტრიაში, შესაბამისად, ბაზარზე ფალსიფიცირებული პროდუქციაც უხვადაა. ოფიციალური მონაცემებით, ბოლო 5 წელიწადში, 6 წლამდე ასაკის 10 000 ბავშვი მოიწამლა მსგავსი საშუალებებით, მაგრამ ეს მონაცემები, სამწუხაროდ, არავის ადარდებს.

სკოლებს ნოროვირუსი უჭევს

როგორ დავიცვათ ბავშვები დაავადებისგან

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

მხოლოდ რამდენიმე დღეა სწავლა დაიწყო და უკვე არაერთი ბავშვი გახდა ავად. მაღალი სიცხე, გულისრევა, ღებინება, დიარეა... ასეთი სიმპტომებით მიმდინარეობს დაავადება და საავადმყოფოებშიც საკმაოდ ბევრი ბავშვი წევს. სხვათა შორის, სამედიცინო დაწესებულებებში კულუარულად საუბრობენ, ახალი ვირუსია და ჯერ წესიერად არც იციან, რასთან გვაქვს საქმეო, თუმცა ზოგი ექიმი დადასტურებულ დიაგნოზს სვამს და აღნიშნავს, რომ საქმე ენტეროვირუსთან გვაქვს.

„ენტეროვირუსი“ — ეს სახელწოდება რომ არ არსებულიყო, ჩვენი ქვეყნის თეთრხალათიანები აუცილებლად გამოიგონებდნენ. რაღაც ხომ უნდა დაერქმიათ გულისრევის, დიარეის, მაღალი ტემპერატურის... ერთობლიობისთვის?

„სეზონური ვირუსები“, „ჰაერის მაღალი ტემპერატურა“, „აკლიმატიზაცია“ და მსგავსი ზღაპრები ჩვენი ყურისთვის უცხო ნამდვილად არ არის, მაგრამ რეალურად რა პრობლემის წინაშე ვდგავართ, „ვერსიას“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, **ხათუნა ზახაშვილი** ესაუბრება.

— ვფიქრობ, ნოროვირუსთან გვაქვს საქმე, თუმცა ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა და დანამდვილებით არაფრის თქმა არ შემიძლია, სანამ ლაბორატორიულად არ დადასტურდება...

— ასეთი ვარაუდის საფუძველს რა გაძლევთ, ქალბატონო ხათუნა?

— ის მდგომარეობა, რაც ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში იყო მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში... რამდენიმე გეოგრაფიულ ერთეულში გვქონდა ნოროვირუსით გამოწვეული ეპიდაფეთქებები და ვითარება, რომელიც დღეს სკოლებშია, მოსალოდნელი იყო — როგორც კი მოხდებოდა ბავშვების თავშეყრა, ვირუსი გავრცელდებოდა. ვფიქრობ, ესაა მიზეზი. უფრო ზუსტი ინფორმაციისთვის საჭიროა სპეციალური ლაბორატორიული კვლევები. მაღალი ცხელება, პირღებინება, გულისრევა, დიარეა... ეს სიმპტომები მაფიქრებინებს, რომ ნოროვირუსია...

— რა დაავადებაა ეს და რა პრევენციული ზომებია საჭირო?

— ნოროვირუსი საკმაოდ ადვილად გავრცელებადია, მარტივად გადადის ერთი ადამიანიდან მეორეზე, ვრცელდება ფეკალურ-ორალური გზით, რაც ნიშნავს, რომ ეს უბრალოდ „ბინძური ხელების“ დაავადებაა და ნებისმიერ შემთხვევაში პრევენციის საუკეთესო საშუალებაა, ავადმყოფი დარჩეს სახლში... თუმცა რაც მცირე ასაკისაა ბავშვი, მით ხანგრძლივად რჩება ვირუსის მატარებლად და ორი კვირის შემდეგაც გამოყოფს ვირუსს...

— ამდენ ხანს მოსწავლე ვერ გააცდენს სკოლას, არ მეთანხმებით?

— რა თქმა უნდა, ამდენ ხანს ბავშვს სკოლასა და ბაღს არავინ აცდენინებს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშობლებისგან — მათ უნდა გააფრთხილონ შვილები, საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ კარგად დაიბანონ ხელები, რადგან სწორედ ისინი ხდებიან ხოლმე დაავადების შემდგომ ინფექციის გავრცელების წყარო.

— საკმაოდ ცხელი ზაფხულისა და არცთუ გრილი შემოდგომის შემდეგ, კიდევ რა ინფექციები გველის?

— ტემპერატურა ისეთი აღარაა, საფრთხე შეექმნას ბავშვებს და მზის დაკვრის ალბათობაც ძალიან მცირეა. დილას და საღამოს კი საკმაოდ გრილა, რაც სითბოსთან დაკავშირებული დაავადებების რისკს საგრძნობლად ამცირებს. ამინდის ცვალებადობასა და აციებასთან ერთად კი, გადავერთვებით შემოდგომის რეჟიმზე, რაც დაკავშირებული იქნება უმთავრესად რესპირაციული, ე.წ. გაციებით მიმდინარე დაავადებების გავრცელებასთან და სანამ გამოჩნდება გრიპის ვირუსები, პრევენციად რჩება შემდეგი რეკომენდაციები — ავადმყოფი ბავშვები არ გაუშვან სკოლაში, ბაღში, მწვავე სიმპტომების ალაგებამდე მაინც... უნდა შეიზღუდოს მათი კონტაქტი თანატოლებთან და რა თქმა უნდა, მშობლებმა უნდა იფიქრონ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე.

აშშ-ს ახალი ელჩი იან კელი საქართველოში ჩამოვიდა

აშშ-ს ახალი ელჩი იან კელი, მეუღლესთან, ფრანჩესკასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. როგორც ელჩმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განაცხადა, ნატრობდა საქართველოში ემუშავა: **„მე და ჩემი მეუღლე ფრანჩესკა მოხარულები ვართ, რომ ჩამოვედით თბილისში და ვიმსახურებთ აქ. 39 წლის წინ ვიყავი საქართველოში პირველად. ქართულად მხოლოდ ერთი სიტყვა ვიცი „გამარჯობა“. მე და ფრანჩესკას ყოველთვის გვინდოდა თბილისში ჩამოსვლა. უკვე 30 წელია ვარ დიპლომატი და ერთადერთი სამუშაო, რომელსაც ყოველთვის ვნატრობდი, იყო საქართველოში მუშაობა. ჩემს ძირითად პრიორიტეტად ვხედავ, საქართველოს დავუჭირო მხარი, გავაღრმავოთ ორმხრივი ურთიერთობები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, რასაკვირველია, გახლავთ საქართველოს მხარდაჭერა, მეტი ინტეგრაციის ხელშეწყობა ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში, რაც გაცხადებულია საქართველოს მიერ. ვიქნები ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე მხარდამჭერი საქართველოსი“.**

აშშ-ს ელჩმა აღნიშნულ პოსტზე რიჩარდ ნორლანდი შეცვალა.

„პირველი“



ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲣᲜᲬᲘ ᲩᲜᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ

პოპულარულმა ჟურნალმა Time გამოაქვეყნა ყველა დროის იმ უმდიდრესი ადამიანების რეიტინგი, რომლებიც წარმოუდგენელი სიძუნწით გამოირჩეოდნენ. ამ რეიტინგის ლიდერი ჩარლი ჩაპლინი აღმოჩნდა, რომელიც კვირაში 10 ათას დოლარს გამოიმუშავებდა, თუმცა, ამის მიუხედავად, რესტორნებში სადილობისას ყველაფერს აკეთებდა, რომ მის მაგივრად ანგარიში მეგობრებს გადაეხადათ. ბევერლი-ჰილზში საკუთარი სახლის ასაშენებლად ჩაპლინმა ჰოლივუდიდან „უფასო“ ხელოსნები მოიწვია. აშშ-ს ექსპრეზიდენტი ჯონ კენედი არ სარგებლობდა მამის მიერ დატოვებული სატრასტო კომპანიით, რომლის ღირებულებაც 170 მილიონი დოლარი იყო და ეკონომიას სწევდა ტანსაცმელსა და პროდუქტზე. „ძუნწების“ სიაში მილიარდერი უორენ ბაფეტი იმის გამო მოხვდა, რომ ჩვეულებრივ სახლში ცხოვრობს და დადის უბრალო მანქანით, რომელსაც ნომრის ნაცვლად აწერია „დამზოგველი“. გასული საუკუნის 70-იან წლებში ჯონ გეტი ყველაზე მდიდარ ადამიანად ითვლებოდა პლანეტაზე 4 მილიარდი დოლარის ქონებით. თუმცა, თავის აგარაკზე ტაქსოფონები დადგა სტუმრებისთვის, მათი სატელეფონი საუბრების საფასური რომ არ გადაეხადა, 1973 წელს კი უარი განაცხადა, გამოსასყიდი გადაეხადა გატაცებული შვილიშვილის სანაცვლოდ. ნავთობის მაგნატი ჰაროლდ ჰანტი, რომელიც 1948 წელს მსოფლიოში უმდიდრეს ადამიანად დაასახელეს, იმდენად ძუნწი იყო, რომ თმას თვითონ იკრეჭდა და მას გაცვეთილი, დაძენძილი კოსტიუმებით სცნობდნენ. ძუნწების სიაში მოხვდა ასევე 30-იანი წლების კინოვარსკვლავი კერი გრანტიც, რომელიც ავტოგრაფს 25 ცენტად ყიდდა, ბარონესა ლეონა ჰელმსლი, რომელიც 18 თვე ციხეში იჯდა გადასახადების გადაუხდელობის გამო და 12-მილიონიანი ქონება საკუთარ ძაღლს დაუტოვა; ბერძენი მაგნატი არისტოტელე ონასისიც ძუნწების რეიტინგშია — იგი პირადად იღებდა ნაგვის ურნებიდან საკვების ნარჩენებს, რომელსაც წვეულების შემდეგ ყრიდნენ.

სუდოკუმანია

ადვილი

		6		3			2	
	1	4	2		7			3
					4	1	8	
	7				9			
4				2				8
			5				1	
	4	5	6					
1			4		8	5	3	
	2			5		9		

სტანდარტი

		6	3		8		1	9
	2				5	4		
		7						
			5	1		3		
	1						7	
		3		9	2			
						7		
		4	1				3	
5	6		7		9	8		

რთული

	1	9				5	3	2
			2		7			
6				3				
5			8	2			9	
		2				1		
	7			4	3			5
				5				9
			3		4			
9	4	5				3	2	

ექსპერტი

	6		9			1		7
8			5	4	1		2	
	7	6	1				4	
		2				6		
	1				3	7	9	
	9		6	8	7			4
6		5			9		7	

ნარკოტიკს სიყვარული შეცვლის

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა, რომლებიც სიყვარულის ფიზიოლოგიას სწავლობდნენ, საოცარი აღმოჩენა გააკეთეს. მეცნიერები შეყვარებულების ტვინის ტომოგრაფიას იკვლევდნენ და დაადგინეს, რომ გრძნობის დასაწყისი ისევე მოქმედებს ადამიანზე, როგორც კოკაინი. ექსპერიმენტის მონაწილეები თავიანთი შეყვარებულების ფოტოებს უყურებდნენ და ამ დროს მათი ტვინის ცენტრალური საფარველი იჟღინთებოდა დოპამინით — ნივთიერებით, რომელიც სასიამოვნო საქმიანობისას გამოიყოფა სისხლში — შოკოლადის ჭამისას, სექსის დროს ანდა, ნარკოტიკების მიღებისას. მოგვიანებით, სისხლში გამოიყოფა ჰორმონები — ოქსიტოცინი და ვაზოპრესინი, რომელიც ხელს უწყობს შეყვარებულებს შორის ემოციური კავშირის ჩამოყალიბებას. ოქსიტოცინი გამოიყოფა ახლო კონტაქტის დროს, მაგალითად ჩახუტებისას, ვაზოპრესინი კი პასუხისმგებელია მამაკაცებში ემოციური კავშირის ფორმირებაზე. ჩვეულებრივ მიიჩნევა, რომ ვნებიანი სიყვარული, რომელსაც თან სდევს ჰორმონული აფეთქება, მოგვიანებით უფრო „მშვიდი“ გრძნობით იცვლება. სწავლულები გვირჩევენ, ვიმოქმედოთ ჰორმონალურ ფონზე, დავკავდეთ სასიამოვნო საქმით, რაც დოპამინის გამოყოფას ასტიმულირებს.

მკერდის კიბოს ოპერაციის გარეშე განკურნავენ

მეცნიერთა ჯგუფი ნისლიანი ალბიონიდან მკერდის კიბოს მკურნალობის ინოვაციურ მეთოდზე მუშაობს, რაც ინვაზიური ჩარევის გარეშე გამოჯანმრთელებას ითვალისწინებს. ახალი მეთოდის საფუძველი ცილა DACH1-ია. ეს ნაერთი ძლიერი იმუნური მოქმედებით გამოირჩევა და გამომუშავდება როგორც რეაქცია სიმსივნეზე. მიიჩნევენ, რომ პაციენტის სისხლში ამ ცილის არსებობა სასწრაფო ოპერაციის გადადების საფუძველი შეიძლება გახდეს. სასწრაფო ქირურგიული ჩარევა კი, სპეციალისტების განცხადებით, მათ სჭირდებათ, ვისთანაც ეს ცილა არ არსებობს. ახალი მეთოდის პლუსი სერიოზული სამედიცინო ჩარევის დანიშვნის რაციონალურობაა, რასაც შესაძლოა, გვერდითი ეფექტები და გართულება მოჰყვეს. რასაკვირველია, ონკოლოგია სერიოზული სფეროა და დროა საჭირო, კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდი მოიწონონ, თუმცა სპეციალისტები უკვე საუბრობენ მკერდის კიბოს მკურნალობაში წინგადადგმულ ნაბიჯზე.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	1	9	7	5	2	4	6	3
6	7	5	4	1	3	2	9	8
3	4	2	6	9	8	7	5	1
5	8	4	3	7	6	1	2	9
2	3	1	5	8	9	6	7	4
9	6	7	2	4	1	8	3	5
4	9	3	8	6	7	5	1	2
1	5	6	9	2	4	3	8	7
7	2	8	1	3	5	9	4	6

სტანდარტი

8	6	7	5	4	3	2	1	9
3	2	9	1	8	7	6	5	4
4	5	1	2	9	6	8	3	7
9	1	8	6	7	5	4	2	3
2	3	6	8	1	4	9	7	5
7	4	5	9	3	2	1	8	6
6	9	2	7	5	1	3	4	8
5	8	4	3	2	9	7	6	1
1	7	3	4	6	8	5	9	2

რთული

4	9	8	3	2	5	1	7	6
1	3	7	6	4	9	5	8	2
6	5	2	8	1	7	9	4	3
9	2	4	7	5	1	6	3	8
8	1	3	2	6	4	7	9	5
7	6	5	9	3	8	2	1	4
5	4	9	1	8	6	3	2	7
3	8	1	5	7	2	4	6	9
2	7	6	4	9	3	8	5	1

ექსპერტი

7	1	9	8	6	5	4	3	2
6	3	8	4	7	2	1	9	5
5	4	2	1	3	9	8	7	6
3	9	1	2	5	8	7	6	4
8	7	4	3	1	6	2	5	9
2	6	5	9	4	7	3	1	8
1	5	7	6	2	4	9	8	3
4	8	6	7	9	3	5	2	1
9	2	3	5	8	1	6	4	7

მე-10 გვერდი: 1. ჭაშნაგირი; 2. შლაგბაუმი; 3. ჭანჭური; 4. შევიოტი; 5. არაკი; 6. შაპიტო; 7. პაბლისიტი; 8. ტარა; 9. ბულონი; 10. ლესოთო; 11. აკვანი; 12. ბაია; 13. არაუკარია; 14. არაბია; 15. აპლიკაცია; 16. რეტი; 17. ნიმბი; 18. ურია; 19. პირს; 20. აფთი; 21. ბნედა; 22. ემისია; 23. ტუში; 24. ხმა; 25. აბზაცი; 26. კივი; 27. თათბირი; 28. ნო; 29. ხოაკინ ფენიქსი; 30. ნია; 31. ვაცი; 32. რეცენზია; 33. არტალა; 34. ეირე; 35. ოხრა; 36. აია; 37. დარი; 38. ვალაბი; 39. ინია; 40. ივრითი; 41. ბაო; 42. ანჟუ; 43. კარე; 44. ქაცვი; 45. ნიტრატი; 46. ჟერარ; 47. იანკი; 48. მაია; 49. ერა; 50. მიკადო; 51. ბროკერი; 52. ჰაკერი; 53. კასაცია; 54. ფატა; 55. დროზერა; 56. ფიურერი; 57. დაფა; 58. ისარა; 59. ილაჯი; 60. ადამი; 61. ებრო; 62. არაქნე; 63. არტისტი; 64. ნოინი; 65. ადატი; 66. ასო; 67. წამი; 68. ალი; 69. იდეა; 70. ზიპი; 71. ოლე; 72. აბრა; 73. იასპი; 74. არმია; 75. სკოჩი; 76. ითაკა; 77. აცხა; 78. ქსენოფობია; 79. ნინო; 80. ია; 81. ბონსაი; 82. კნოპი; 83. ოფი; 84. მარლონ.

ყველაზე ცხელი წლები გველის



ბრიტანული მეტეოროლოგიური სამსახურის მონაცემებით, უახლოესი ორი წელიწადი ყველაზე ცხელი იქნება ჩვენი პლანეტისთვის. სპეციალისტების თქმით, ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვის ზრდა, რასაც სათბურის ეფექტი აქვს, პლანეტის კლიმატური სისტემის სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს. წლეულს ტემპერატურა ჩვეულებრივ მაჩვენებელზე 0,68 გრადუსით მეტი იყო. მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, რომ ტემპერატურული ანომალია ელ-ნინიო, რომელიც წყნარ ოკეანეში წარმოიშვება და ტემპერატურის მატებას იწვევს, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ამინდზე, თუმცა ევროპაში ეს მოვლენა ზაფხულში ტემპერატურის კლებას გამოიწვევს. მეტეოროლოგები იმასაც ვარაუდობენ, რომ უახლოესი ათწლეული, ზაფხულის პერიოდში უფრო გრილი და მშრალი იქნება — ატლანტის ოკეანეში აციების გამო. თუმცა, ეს მაშინ მოხდება, თუკი წყნარ ოკეანეში მიმდინარე პროცესები გავლენას არ მოახდენს ატლანტიკაზე. ასეთმა აგრილებამ კი, შესაძლოა, არქტიკული ყინულის დნობა შეაჩეროს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 322942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ბაბანეულაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაბახტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, გულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.

გართობა

1. ბერძნული მითოლოგიის გმირი
2. პატარა მაშა წვრილ ნივთების ასაღებად
3. „ილიადას“ ავტორი
4. ფინელთა ეპიკური ხალხური სიმღერა
5. ამერიკის აღმომჩენი
6. ხელოვნური საერთაშ. ენა
7. მოლიერის ნამდვილი გვარი
8. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი
9. ფრანგი ფერმწერი
10. ამერიკელთა შეტსახელი
11. კედლის ჭაღი
12. რუსული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავი
13. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
14. მრავალწევრი მათემატიკაში
15. წარმოდგენა ერთი მსახიობის პატივსაც.
16. იგივეა, რაც მამითადი
17. იტალ. დრამატურგიის ჟანრი
18. ქალაქი იაპონიაში
19. ტოპმოდელი ... კემპბელი
20. კაშხალი ეგვიპტეში
21. ცხენების ჯოგი
22. ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
23. ისრაელის სამეფოს I მეფე
24. ცხვრის საპარსი დიდი მაკრატელი
25. ლოტოს მსგავსი თამაში ევროპაში
26. ჯარების მართვის ორგანო
27. ალკოჰოლით მდიდარი სითხე
28. იტალიელი ფეხბურთელი
29. დასტინ ჰოფმანის კინოროლი
30. გამოფენა ორ წელიწადში ერთხელ
31. მშვილდით სასროლი ჯოხი
32. სოფელი დუშეთის რაიონში
33. სასტუმროს მსახური ბიჭი
34. უფლის მიერ შერისხული ქალაქი
35. კომპოზიტორი ... კალმანი
36. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
37. აგამემნონის მამა
38. მომკილი თავთავის კონა
39. რძის ნაწარმი
40. უცხიმო ხორცი
41. ბედი, ბედისწერა
42. წანაზარდი მამლის ფეხზე
43. სანელებელი მცენარე
44. სამაგიდო თამაში
45. ეგვიპტის ნახევარკუნძული
46. იტალიური ფიქვი
47. ქართული ანბანის V ასო
48. ამერიკ. მსახიობი ... ნოლტი
49. ბრალდებულის წამება ძვ. ევროპაში
50. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში
51. შექსპირის „მეფე ...“
52. შხამიანი მათრობელა ბუჩქი
53. სევდა, კაშანი
54. ინდოეთ. დედაქალაქი
55. ინდონეზიის კუნძული
56. ნული ქულა კაზინოში
57. ჯავშნიანი ქვეწარმავალი
58. მბრუნავი ჯვრის სახის მოწყობილობა შენობის შესასვლელებში
59. პითონი რედიარდ კიპლინგის „ჯუნგლების წიგნში“
60. კამერული ფეხბურთელი
61. ჩილეს საპორტო ქალაქი
62. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
63. მსახიობი ... პიტი
64. ლერმონტოვის პოემა